ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 5 ივნისი, 2018 | №131 (7676) | ფასი: 50 თეთრი

„დავით სარალიძეს მარჯვნიდან და უკნიდან გიორგი მენაბდე ურტყამდა, მის მარცხნივ კი მირზა სუბელიანის ნათესავი, მიხეილ კალანდია იყო“

გვ.7



ხორავაზე მკვლელობის ახალი დეტალები

5 ივნისიდან

გილბერტ ჩესტერტონი

მამა ბრაუნის სკანდალური ამბავი

სერია ნამდვილი დეტექტივი

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი



# ზაზა სარალიძემ კვირიკაშვილს 10 ივნისამდე მისცა ვადა „სახლში წასვლას არ ვაპირებ!“



პრემიერმა განმიმარტა, ახლავე დავტოვებ თუ გინდა თანამდებობასო, მაგრამ ველოდები კონკრეტულ ნაბიჯებს. თავიდან გამოძიების დაწყება არ არსებობს, გამოძიება უნდა დაიწყოს უკნიდან.

გვ.2

## „ქართული ოცნება“ დასრულებულია, 10 ივნისს ეს ოფიციალურად გაფორმდება“



გვ.4

ჯელალ ქიქავა: „თამაზაშვილმა და ბურჯანაძემ ივანიშვილი ჩააჩოჩეს“



გვ.5

## ზაზა ხატიაშვილი: „შეიძლება თეა წულუკიანმა მთავარი პროკურორი შეარჩიოს და ამაზე გაჩუმდეს ხალხი?!“



## „მეტროს მემანქანეები კონსტიტუციური უფლებით მოქმედებენ“

გვ.3

კალაძე მათ შანტაჟში ადანაშაულებს

სამართალი

გვ.7

## მირზა სუბელიანი: „მე დასაცავი არაფერი მაქვს, პირველად ჩემი შვილი დაიკითხა, ჩემი ქვისლი დაპატიმრებულია“






## სროლა მუხრანში 25 წლის მამაკაცს ფეხი მოკვეთეს

## დოლიძის ქუჩაზე მაღაზიის კონსულტანტი გოგონა დაჭრეს




ეკონომიკა

გვ.6



## ზაზა შენგელია: „სახელმწიფომ პირობა უნდა შექმნას, რომ მუსიკა, როგორც ბიზნესი, შედგეს“



## 13 ათას ლარზე მეტი შემოსავალი 41 დღეში — რა ქონებას ფლობს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ დირექტორი



## მიზეზები, რამაც სამომხმარებლო ფასების ზრდა გამოიწვია

ISSN 1987-9385

5 მანუჩარ მაჩაიძე: „ბიძინა ივანიშვილმა დიდი წმენდა უნდა ჩაატაროს“

4 მაისში წლიური ინფლაციის დონემ 2,5 პროცენტი შეადგინა — გავლენა ფასების ცვლილებამ იქონია

3 რა ზარალი მიიღო დედაქალაქმა მეტროს გაჩერების შედეგად

6 ბიზნესსექტორის ბრუნვის მოცულობა 18,6%-ით გაიზარდა და 18,0 მილიარდი ლარი შეადგინა

# ზაზა სარალიძე: „ყველა პირი უნდა იყოს დაკავებული, ვინც დანაშაული ჩაიდინა, ვინც დაფარა, ვინც გააყალბა, სახლში წასვლას არ ვაპირებ!“

ნათია ხურცილავა

გუშინ, 4 ივნისს, მთავრობის ადმინისტრაციაში პრემიერი გიორგი კვირიკაშვილი ზაზა სარალიძეს, მის მეუღლეს და მალხაზ მაჩალიკაშვილს შეხვდა. შეხვედრას ასევე ესწრებოდა ვიცე-პრემიერი, შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი გახარია, სახალხო დამცველი ნინო ლომჯარია და ოჯახის ადვოკატები.

მალხაზ მაჩალიკაშვილსა და მის ადვოკატს მარიამ კუბლაშვილს პრემიერი კვირიკაშვილი და შინაგან საქმეთა მინისტრი გახარია ცალკე შეხვდნენ. პირველი შეხვედრა სწორედ მათთან გაიმართა. შეხვედრა დაახლოებით ერთი საათის განმავლობაში მიმდინარეობდა. ამ დროის მანძილზე ზაზა სარალიძე და მისი მეუღლე პრემიერის მისაღებში იყვნენ.

სანამ ზაზა სარალიძე და მალხაზ მაჩალიკაშვილი პრემიერ-მინისტრთან შესახვედრად შევიდოდნენ, მთავრობის ადმინისტრაციის გარეთ მოვლენები ასე ვითარდებოდა:

შეხვედრა 2 საათისთვის იყო დაანონსებული. ამ დროისთვის მთავრობის ადმინისტრაციასთან სახალხო დამცველი მოვიდა. შემდეგ მალხაზ მაჩალიკაშვილი თავის ადვოკატთან ერთად, თუმცა მას თავიდან პრემიერის ადმინისტრაციაში შესვლაზე უარი უთხრეს, რაც მალხაზ მაჩალიკაშვილისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა და ძალიან განიცადა. ცოტა ხანში კანცელარიასთან ზაზა სარალიძე გამოჩნდა, რომელსაც მალხაზ მაჩალიკაშვილმა უთხრა, რომ მას არ უშვებდნენ. ზაზა სარალიძემ პრესას განუცხადა, რომ ულტიმატუმებს გიორგი კვირიკაშვილი ვერ დააყენებდა და ის მხოლოდ მალხაზ მაჩალიკაშვილთან ერთად შევიდოდა პრემიერთან შეხვედრაზე.





გუშინ კანცელარიასთან ასევე მივიდა პოლიტიკოსთა ერთი ნაწილი: გიორგი ვაშაძე „ახალი საქართველოს“ ლიდერი, რომელიც სხვებისგან განსხვავებით ძალიან აქტიურობდა და პრემიერთან შესახვედრად ასევე ემზადებოდა. ედპ-ს ლიდერი ბაჩუკი ქარდავა და ნაციონალური მოძრაობიდან ზაალ უდუმაშვილი. კანცელარიასთან ზვიად კუპრავაც იმყოფებოდა.

სანამ კანცელარიის შენობაში მე-12 სართულზე პრემიერის ოფისში გაიმართებოდა შეხვედრა, მანამდე დიდი ვნებათაღელვა იყო კანცელარიის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც პოლიციის კორდონით იყო კანცელარიის შენობა შემოსაზღვრული. ზაზა სარალიძეს კანცელარიასთან სხვადასხვა ადამიანები გარკვეულ „რჩევებს“ აძლევდნენ, თუმცა სახალხო დამცველმა მოახერხა, რომ მას ამ შეხვედრაზე უარი არ ეთქვა და პრემიერთან შესულიყო.

– მე ვეცადე, მაქსიმალურად დავხმარებოდი ამ პროცესში, რომ ჩამოყალიბებულიყვნენ. მე ვფიქრობ, ეს შეხვედრა საქმიანი რომ იყოს, ამ შეხვედრაზე უნდა იყვნენ ოჯახის წევრები და ადვოკატები. თუმცა, რასაც გადაწყვეტენ ოჯახის წევრები, ისე იქნება, რადგან, ცხადია, მე ვერაფერს ვერავის დავაძალებ, – ასეთი იყო სახალხო დამცველის განწყობა შეხვედრის დაწყებამდე.

მოგვიანებით პრემიერის ადმინისტრაციის უფროსმა შალვა თადუმაძემაც გამართა კონსულტაციები ზაზა სარალიძესთან, რის შემდეგაც თადუმაძემ კანცელარიაში ჟურნალისტები შეიყვანა და მათ შეხვედრის მონაწილეების შესახებ დეტალებზე მიაწოდა ინფორმაცია.

შეხვედრის დასრულების შემდეგ ზაზა სარალიძემ პრესასთან კომენტარი გააკეთა:

ზაზა სარალიძის განცხადებით, მისი მოთხოვნები უცვლელი რჩება და ელოდება კონკრეტულ ნაბიჯებს პრემიერ-მინისტრის მხრიდან:

**ზაზა სარალიძე:**

– ყველაფერი უცვლელი რჩება, სისტემა უნდა დაინგრეს, თუ ესენი გონს არ მოვლენ. რა უნდა ეთქვა? პრემიერმა განმიმარტა, ახლავე დავტოვებ თუ გინდა თანამდებობასო, მაგრამ ველოდები კონკრეტულ ნაბიჯებს. თავიდან გამოძიების დაწყება არ არსებობს, გამოძიება უნდა დაიწყოს უკნიდან.

თუ არ იქნება კონკრეტული ნაბიჯები გადადგმული 10 რიცხვამდე, იმავე პოზიციაზე ვრჩები, რომ სისტემა უნდა დაინგრეს, ყველა პირი უნდა იყოს დაკავებული, ვინც დანაშაული ჩაიდინა, ვინც დაფარა, ვინც გააყალბა, თუ ვერ დავინახავ კონკრეტულ ნაბიჯებს, არც სახლში ვაპირებ წასვლას, პოზიცია იგივე მაქვს და იგივე მექნება. აქციები პარალელურად გაგრძელდება.

კვირიკაშვილმა საბოლოო სიტყვა ეს მითხრა, მე გადავდგები თუ არ გადავდგებიო, ამას არსებითი მნიშვნელობა არ აქვსო. თუ, კონკრეტულ ნაბიჯებს ვერ დავინახავ, აქედანვე მოვუწოდებ, ამას საზოგადოებაც დაინახავს, ხალხიც დაინახავს, პოლიტიკოსებიც დაინახავენ. იგივე პოზიციაზე ვარ აბსოლუტურად. მიხეილ კალანდია, მირზა სუბელიანი ვის ავალდებულებდა, რომელი გამომძიებელი იყო, მინისტრი თუ ყველა, ვინც გასცა ბრძანება, უნდა დაისაჯოს.

ეს გამოძიება აღარ არსებობს. თუ არ მისცეს პასუხისგებაში გამომძიებლები და პროკურორები, ვინ რა გააფუჭა. აქ მოწმეები და ნივთმტკიცებები არ არსებობს. მანქანა ჩიხში შევიდა, აღარაა მოსაბრუნებელი?! უნდა დაიწყოს უკანსვლა. ვინ გასცა ბრძანება, რომ ეს საქმე გაყალბებულიყო, ვინ უწყობდა ხელს ამ საქმის გაყალბებას, თუნდაც კონკრეტულად პროკურორები ფხაკაძე და გუგუშვილი, რომლებიც 6 თვეა შეურაცხყოფას მაყენებენ. თუნდაც გენერალური პროკურორი, რომელიც გამოდიოდა და რაღაცებს იგონებდა, თუნდაც მალხაზ კაპანაძე, ქალაქის პროკურორი რომ გამოვიდა და განაცხადა, რომ ბრალდებულები 6 თვეა დუმილის უფლებას იყენებენო და ერთი ბრალდებულის ჩვენება პირდაპირ გამოვიკვლიე. კონკრეტულ ნაბიჯებს ველოდები. აქ ვერაფერი ვერ გამოიკვეთება, მოწმემ, რომელმაც ჩვენება მისცა და სასამართლომ ეს ჩვენება ჩათვალა სწორად. დღეს, ახლა რომ ჩვენება შეცვალოს, პირდაპირ პასუხისგებაშია მისაცემი. რომელ გამოძიებაზეა საუბარი.

ნესტან ლონდარიძის, სარალიძეების ოჯახის ადვოკატის განცხადებით, პრემიერ-მინისტრთან შეხვედრის შედეგს უახლოეს დღეებში ელოდება.

**ნესტან ლონდარიძე:**

– ჩვენ ამ შეხვედრის შედეგებს ველოდებით უახლოესი პერიოდის განმავლობაში. ამ პერიოდად არ მოვიაზრებთ თვეებს, ჩვენ ვამბობთ უახლოეს დღეებსა და კვირაზე.

კიდევ ერთხელ, ხაზგასმით მინდა ვთქვა, რომ ჩვენ არ ვითხოვთ მხოლოდ მკვლელობაში მონაწილეების დასჯას, ვამბობთ, რომ ვინც კი მიიღო მონაწილეობა გამოძიების პროცესში საქმის გაყალბებაში თუ მტკიცებულებების განადგურებაში, ყველა უნდა დაისაჯოს.

ადვოკატის ინფორმაციით, შეხვედრის დროს იმ გარემოებებსა და დარღვევებზე, რაც საქმეშია, დეტალურად ისაუბრეს და მიიღეს პირობა, რომ დაზარალებული მხარისთვის საქმესთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია იქნება ხელმისაწვდომი.



როგორც უკვე აღვნიშნეთ, პირველი შეხვედრა პრემიერმა კვირიკაშვილმა მალხაზ მაჩალიკაშვილთან გამართა. შეხვედრის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებთან კომენტარი მაჩალიკაშვილს არ გაუკეთებია. ადვოკატის ინფორმაციით კი, მათ გონივრული ვადა მისცეს პრემიერს.

**მარიამ კუბლაშვილი მაჩალიკაშვილების ოჯახის ადვოკატი:**

– თავიდან ჩვენ უარი გვეთქვა შეხვედრაზე, რაზეც ჩვენ რეაქცია გვქონდა, რადგან ეს იყო მალხაზ მაჩალიკაშვილის უფლებების შელახვა. ჩვენ პრემიერისგან სამძიმარი მივიღეთ. შეხვედრაზე დეტალურად გავიარეთ ყველა მნიშვნელოვანი საკითხი. აქცენტირება მოხდა იმ პრობლემატურ ნაწილზე, რომელიც თემირლან მაჩალიკაშვილის გარდაცვალების ფაქტს ეხება და ასევე მის



უდანაშაულოდ ცნობას. პრემიერ-მინისტრი ამ ყველა ნიუანსს ისმენდა და თან ინიშნავდა. აშკარა იყო, რომ მან ამ საქმის შესახებ გარკვეული დეტალები იცოდა. პირობა მოგვცა, რომ თემირლან მაჩალიკაშვილის საქმეს პირად კონტროლზე აიყვანს. უშუალოდ აწარმოებს ამ საქმის დეტალების კიდევ ერთხელ შესწავლას. ასევე მივიღეთ დაპირება, რომ მას შესაბამის უწყებებთან აქტიური კომუნიკაცია ექნება ამ საქმესთან დაკავშირებით. პირობა ძალიან რთულია მისი მხრიდან, რომ იქნება დასჯილი თუ არ იქნება დასჯილი, როგორი იქნება რეაგირება, ამაზე წინასწარ მას პასუხი არა აქვს. თუმცა, ჩვენი მოთხოვნები, რომელიც ადეკვატურია და რომელიც ამ საქმის მასალებზე არსებობს, პრემიერის მხრიდან შესწავლილი იქნება.

***– რა პირობა მიიღეთ პრემიერისგან?***

– ჩვენ გვაქვს პირობა, რომ ყველა ჩვენი მოთხოვნა დეტალურად იქნება შესწავლილი და აუცილებლად იქნება რეაგირება, თუკი იქნება ამის საფუძველი. მე იმედი მაქვს და გამოვრიცხავ, რომ ეს არ იქნება ისეთი შეხვედრა, რომელიც გვქონდა თავის დროზე მთავარ პროკურორთან. ჩვენ პრემიერისგან ადამიანური პირობა მივიღეთ, ეს იყო მისი პირადი პირობა, რომ ამ საკითხზე ის თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმს გააკეთებს. ჩვენც გონივრული ვადა მივეცით.

***– რა ვადაზეა საუბარი?***

– დაახლოებით 10-14 დღეზე, რომელიც სისხლის სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებზეა დამტკიცებული.

**თამთა მიქელაძე, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის იურისტი, რომელიც პანკისის ხეობაში ჩატარებულ სპეცოპერაციის საქმეს მონიტორინგს უწევს:**

– სამუშაო ფორმატში პროცესის გადაყვანა, ვფიქრობ, რომ მნიშვნელოვანია. დღეს პრემიერმა მოისმინა ყველა ის კრიტიკა, რომელიც ჩვენ გვაქვს გამოძიების, პანკისში ჩატარებული სპეცოპერაციის და ზოგადად პანკისში სახელმწიფო პოლიტიკის მიმართ. პრემიერ-მინისტრის მხრიდან მივიღეთ დაპირება – ერთი მხრივ, პრემიერი საკუთარი ზედამხედველობის ქვეშ აიყვანს ამ საქმის გამოძიებას და შეეცდება ის ხარვეზები, რომელიც გამოძიებაში ჩანს, გაიაროს შესაბამის საგამოძიებო ორგანოებთან და მეორე მხრივ, ჩვენ მივიღეთ დაპირება, რომ პანკისის ხეობაში ხელისუფლების პოლიტიკა უფრო სოციალური გახდება და ამ კუთხით ხელისუფლება შეეცდება, რომ ხეობასთან გაჩენილი ნდობის პრობლემა მოაგვაროს.

რაც შეეხება კონკრეტულად ამ საქმეს, ზუსტი ვადები, როდის მოხდება რაიმე ცვლილება მაჩალიკაშვილის საქმესთან დაკავშირებით, შეხვედრაზე არ დაზუსტებულა, თუმცა პრემიერის თქმით, ცვლილებებს გონივრულ ვადებში უნდა ველოდოთ.

კონკრეტულ შეკითხვებზე პასუხები არ მიგვიღია იმიტომ, რომ ამ შეხვედრას არ ესწრებოდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, არ ესწრებოდა პროკურატურა. შესაბამისად, პასუხების გაცემის რეჟიმში მთავრობა არ იყო. ჩვენ, ვისაუბრეთ ამ საქმესთან დაკავშირებულ ძირითად ხარვეზებზე, მათ შორის ნივ-

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „მეტროს მემანქანეები კონსტიტუციური უფლებებით მოქმედებენ“

## კალაძე მათ შანტაჟში ადანაშაულებს

შორენა მარსაგიშვილი



გუშინ, 4 ივნისს, თბილისის მეტროს მემანქანეები გაიფიცნენ და დედაქალაქი ფაქტიურად პარალიზებული აღმოჩნდა. მემანქანეები უკვე დიდი ხანია, რაც ხელფასების მომატებას ითხოვენ და გაფიცვით იმუქრებიან. მათი მოთხოვნებისთვის დედაქალაქის მერას სათანადო ყურადღება არ მიუქცევია. რაც საბოლოოდ გაფიცვით დასრულდა.

მემანქანეების გადაწყვეტილებამ დედაქალაქის მერი და საკრებულოს თავმჯდომარე წყობილებიდან გამოიყვანა. გიორგი ტყემალაძე მემანქანეებს დაემუქრა, რომ მათ სასამართლოში უჩივლებდა. საკრებულოს თავმჯდომარის საპასუხოდ გაფიცულებმა განაცხადეს, რომ თავად შეიტანდნენ სარჩელს საკრებულოს და მერიის წინააღმდეგ.

დედაქალაქის მერმა მემანქანეები შანტაჟში დაადანაშაულა. საგანგებო ბრიფინგზე მერმა განაცხადა, რომ შანტაჟის საფუძველზე მერია არასამართლებრივ გადაწყვეტილებას არ მიიღებს.

კახა კალაძის განცხადებით, ხელფასის მატების შესახებ მემანქანეთა მოთხოვნის შესრულებას არ აპირებს.

თბილისის მერის თქმით, მისი მხრიდან მემანქანეთა ულტიმატუმის დაკმაყოფილება სხვა საჯარო მოხელეების მიმართ უსამართლო გადაწყვეტილება იქნება.

– სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, არ დავუშვებ, რომ თბილისის მოსახლეობა დაზარალდეს შანტაჟისა და გაურკვეველი, სრულიად დაუსაბუთებელი ულტიმატუმების გამო. ის, რომ დღეს მეტროსადგურები არ მუშაობს და არ ემსახურება მგზავრთა გადაყვანას, შეიძლება შეფასდეს, შანტაჟი საკუთარი თანამოქალაქეების მიმართ.

დაუშვებელია შანტაჟის საფუძველზე მერიამ მიიღოს არასამართლიანი და უთანასწორო გადაწყვეტილებები. სხვა შემთხვევაში მე არ ვიქნები მართალი ბაგა-ბაღების პედაგოგების, სასწრაფო დახმარების ბრიგადების, დასუფთავების სამსახურის თანამშრომლების თუ სხვა სტრუქტურების წარმომადგენელთა წინაშე, რომლებიც 24 საათის განმავლობაში ღირსეულად ემსახურებიან და ზრუნავენ თბილისზე და თბილისელებზე, – განაცხადა დედაქალაქის მერმა საგანგებო ბრიფინგზე.

ამავე ბრიფინგზე კალაძემ განაცხადა, რომ მემანქანეების ხელფასი 1.800 ლარია.

მერის განცხადებას მემანქანეები გამოეხმაურნენ და კახა კალაძე სიცრუეში დაადანაშაულეს. ისინი ამბობენ, რომ მათი ხელფასი არა 1.800 ლარი არამედ, 1,299 ლარია.

გაფიცულები ამბობენ, რომ მათთვის შანტაჟის ენა მიუღებელია.

– ჩვენ არ ვსაუბრობთ შანტაჟის ენით, ჩვენ ყოველ წუთს და ყოველ წამს მზად ვართ დავჯდეთ მოლაპარაკების მაგიდასთან და დათმობაზეც წავიდეთ. არ ვცდილობთ საზოგადოებისთვის პრობლემების შექმნას.

ყოველთვის ვითხოვდით, რომ ხელფასიდან დანამატის თანხა გამონახული ყოფილიყო, შეეზღუდათ თავისთვის დანამატები, პრემიები და იმ თანხებიდან მომხდარიყო ხელფასის გაზრდა. ჩვენი ხელფასი თურმე ყოფილა 1.400-დან 1.800 ლარამდე. მემანქანის ხელფასი არის 1093 ლარი პლუს დანამატი 55 ლარი მავნე პირობებისთვის და ღამის მოცდენის საათები 31.60 ლარი, რაც გამოდის ხელზე ასაღები თანხა 1.200 ლარამდე, – ამბობს მეტროს გაფიცული მემანქანე ნუგზარ გაგუა.

მეტროს თანამშრომლების განცხადებითვე, ისინი ხელფასების 45% პროცენტით გაზრდას და 2013 წლის სახელფასო ნიშნულზე დაბრუნებას ითხოვენ.

– ვითხოვთ ხელფასის იმ ნიშნულზე დაყენებას, რაც იყო 2013 წელს, მოხდა ინფლაცია, გაუფასურება და ეს არ არის ხელფასის მატება, – აცხადებს მეტროს თანამშრომელი ხათუნა ჩიტიაშვილი.

3 ივნისს, 15:00 საათზე გლდანის დეპოს ტერიტორიაზე შეკრებილმა მეტროს მემანქანეებმა გაფიცვა და შიმშილობა დაიწყეს. მათი თქმით, ისინი ტექნიკურად დაემორჩილნენ სასამართლოს განჩინებას, რომელიც უშვებს გაფიცვის ჩატარებას არასამუშაო საათებში. შემდგომ მათ ის თანამშრომლებიც შეუერთდნენ, რომლებმაც თავისი ცვლა დაასრულეს.

მემანქანეების გაფიცვით შეშფოთებული იყო პარლამენტის წევრი ბექა ნაცვლიშვილი. ის გაფიცულ მემანქანეებთან მოსალაპარაკებლად მივიდა. მათთან შეხვედრის შემდეგ ნაცვლიშვილმა განაცხადა, რომ მეტროს თანამშრომლები მზად არიან, თბილისის სატრანსპორტო კომპანიასთან მოლაპარაკების მაგიდასთან დასხდნენ და მთავარ მოთხოვნაზე – ხელფასების გაზრდის თაობაზე ისაუბრონ:

– მთავარი არის ის, რომ მოლაპარაკების სივრცე არსებობს. ეს ადამიანები არიან მზად, მოლაპარაკების მაგიდასთან დასხდნენ. მგონია, რომ მაინც დარჩა მოლაპარაკების სივრცე. იმედი მაქვს, ამას გაიგებს სატრანსპორტო კომპანია და მოლაპარაკების გაგრძელების თაობაზე თვითონაც გადმოდგამს შემხვედრ ნაბიჯს, – განაცხადა ნაცვლიშვილმა.

კომენტარი გააკეთა „ერთობა 2013“-ის წევრმა რატი კაპანაძემ. მოლაპარაკების თაობაზე მანაც მზაობა გამოთქვა.

– მიმდინარეობს შიმშილობა. თითოეული ჩვენგანი გადავიღალეთ, მაგრამ გვინდა, რომ გითხრათ, ვიბრძვით ღირსეული ანაზღაურებისათვის. ვრჩებით ჩვენი მოთხოვნის ირგვლივ, – განაცხადა კაპანაძემ.



მეტროპოლიტენის თანამშრომლებს საკრებულოს უმრავლესობის წევრი ოთარ გრიგოლიაც შეხვდა. ბექა ნაცვლიშვილის მსგავსად, ისიც ფიქრობს, რომ მოლაპარაკებები შესაძლებელია.

პარლამენტის დეპუტატმა დედაქალაქის მერს სიხისტე დაუწუნდა. ბექა ნაცვლიშვილი ამბობს, რომ კალაძე მეტროს გაფიცულ თანამშრომლებთან მიმართებაში სიხისტეს იჩენს.

დეპუტატების გარდა გაფიცულ მემანქანეებს პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებიც შეხვდნენ. გაფიცულებს პრეზიდენტის მრჩეველი ადამიანის უფლებათა დაცვისა და მართლმსაჯულების საკითხებში კახა კოჟორიძე გაესაუბრა.

კახა კოჟორიძის აზრით, მეტროპოლიტენის მემანქანეები კონსტიტუციური უფლებების მიხედვით მოქმედებენ, რადგან შიმშილობა და გაფიცვა მათი კონსტიტუციით განსაზღვრული უფლებამოსილებებია. ამასთან, კახა კოჟორიძეს აუცილებლად მიაჩნია, რომ მეორე მხრიდან გადაიდგას ისეთი ნაბიჯები, რომელიც ამ მწვავე პროცესს დიალოგისკენ და საბოლოო შეთანხმებისკენ წაიყვანს.

– მთელი ეს პერიოდი, როცა ამ ადამიანებმა თავიანთი კონსტიტუციური უფლებების ფარგლებში დაიწყეს პოზიციის დაფიქსირება, ჩვენ დიდი ინტერესით ვადევნებდით თვალს. ისინი კონსტიტუციით განსაზღვრული უფლებამოსილებების ფარგლებში მოქმედებენ.

ცხადია, მოლაპარაკებას ამ პროცესში ალტერნატივა არ აქვს და აუცილებლად მიმაჩნია მოლაპარაკებების გაგრძელება. ზოგადად ის, რომ ეს ადამიანები უმნიშვნელოვანეს საქმეს აკეთებენ, მგონი, ამაზე საუბარი არ არის და სახელფასო პოლიტიკა სამართლიანი უნდა იყოს. დღევანდელ შეხვედრაზე მემანქანეებმა იმასაც გაუსვეს ხაზი, რომ ხელფასის მომატების მოთხოვნას ისინი 2014 წლიდან აყენებენ.

ეს გრძელვადიანი პროცესია, ასე არ უნდა დადგეს საკითხი, რომ უცებ ვიღაცამ გადაწყვიტა შანტაჟი. ეს არასწორი შეფასება იქნება, ეს არ იქნება სამართლიანი შეფასება ამ პროცესისთვის.

### რამდენია მემანქანის ხელფასი?!

2014 წლიდან პერიოდულად ხდებოდა სხვადასხვა ტიპის შეთანხმებები. 2016 წელს შედგა შეთანხმება, სადაც განისაზღვრა, რომ 2017 წელს მოხდებოდა ამ შეთანხმების გადახედვა ხელფასების გაზრდის მიმართულებით, თუმცა ეს შეთანხმება ხელფასების ზრდის კუთხით არ შესრულდა. შესაბამისად, ამ ადამიანების პროტესტიც აქედან მომდინარეობს.

ამ რამდენიმეწლიანი პროცესის გათვალისწინებით, აუცილებლად მიმაჩნია, რომ მეორე მხრიდან უნდა გადმოიდგას ისეთი ნაბიჯები, რომელიც მწვავე პროცესს დიალოგისკენ და საბოლოო შეთანხმებისკენ წაიყვანს, – აღნიშნა კახა კოჟორიძემ.

# რა ზარალი მიიღო დედაქალაქმა მეტროს გაჩერების შედეგად





მემანქანეების გაფიცვის გამო ყველა მეტროსადგური დაკეტილია, რის გამოც მგზავრებს ავტობუსები უფასოდ ემსახურება. ჯერჯერობით უცნობია, რამდენ ხანს გაგრძელდება მემანქანეების გაფიცვა, რამდენადაც დათმობაზე არც მემანქანეები მიდიან და არც მერია აპირებს მათი მოთხოვნების შესრულებას და ხელფასის გაზრდას.

ამის ფონზე „ბიზნეს-პრესნიუსი“ დაინტერესდა, თუ რა ზარალი ნახა ამის შედეგად დედაქალაქის მერიამ ერთ დღეში. ცნობისთვის, მეტროს ყოველდღიურად დაახლოებით 300-350 ათასი მგზავრი გადაჰყავს, მგზავრობის საფასური 50 თეთრია, ეს კი იმას ნიშნავს, რომ საშუალოდ დღეში მეტროპოლიტენით მგზავრობისას სატრანსპორტო კომპანიის ბიუჯეტში 150-175 ათასი ლარი შედის.

რაც შეეხება ავტობუსებს, მათ მიერ გადაყვანილ მგზავრთა რიცხვი ყოველდღიურად დაახლოებით 400 ათასია. მგზავრობის საფასური ამ შემთხვევაშიც 50 თეთრია, შესაბამისად, ავტობუსებში მგზავრობის შედეგად დღეში, დაახლოებით, 200 ათასი ლარი შედის სატრანსპორტო კომპანიის ბიუჯეტში.

შესაბამისად, უხეში გაანგარიშებით ერთდღიანი გაფიცვის შედეგად „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ ზარალი დაახლოებით 350 ათასი ლარია. თუმცა, აღსანიშნავია, რომ მეტროსა და ავტობუსში რიგი სოციალური შეღავათები მოქმედებს, შესაბამისად, აღნიშნული თანხები შესაძლოა 100%-იანი სიზუსტით არ იყოს.

შეგახსენებთ, რომ მეტროსადგურების დაკეტვის მიზეზი მეტროს მემანქანეთა გაფიცვაა, რომლებიც ხელფასის ზრდას ითხოვენ. თბილისის მერის კახა კალაძის განცხადებით კი, მათი ხელფასი 1400-1800 ლარის ფარგლებში მერყეობს, რაც უფრო მეტია, ვიდრე პატრულის თანამშრომლის, სასწრაფოს ბრიგადის თანამშრომლის, მაშველების და მეხანძრეების ხელფასები.

ცნობისთვის, დღეის მდგომარეობით, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიაში“ მეტროს 240 მემანქანეა დასაქმებული.

ბპნ

# ზაზა სარალიძე: „ყველა პირი უნდა იყოს დაკავებული, ვინც დანაშაული ჩაიდინა, ვინც დაფარა, ვინც გააყალბა, სახლში წასვლას არ ვაპირებ!“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

თმტკიცებულებების განადგურების, დაზიანების ან შესაძლო ფალსიფიკაციის საკითხზე და ცხადია, მოვითხოვეთ წვდომა იმ საიდუმლო მასალებზე, რომლებიც ამ დრომდე ჩვენთვის არ არის ხელმისაწვდომი.

**სამივე შეხვედრის დასრულების შემდეგ პრესასთან სახალხო დამცველმა ნინო ლომჯარიამ კომენტარი გააკეთა:**

– ვესწრებოდი სამივე შეხვედრას, ძალიან კარგად ვიცნობ სამივე საქმეს. სამივე შემთხვევაში, როგორც დაზარალებულებს, ისე ადვოკატებს და მოგვეცა შესაძლებლობა, საეჭვო გარემოებებზე გვესაუბრა. ნამდვილად სამუშაო რეჟიმში, საკმაოდ კონსტრუქციულად მიმდინარეობდა შეხვედრები და ვფიქრობ, ყველა მნიშვნელოვანი აქცენტი დაიფარა, რაც იყო სათქმელი დაზარალებულების მხრიდან. იყო საუბარი იმაზე, თუ რას აკეთებს



გამოძიება ახლა. საუბარი იმაზე, თუ რა ვადაში რა იქნება, არ ყოფილა. ბატონ ზაზას შევთავაზე, რომ მის ადვოკატებთან ერთად შევისწავლით ამ საკითხს იმისათვის, რომ ჩვენ ცალკე შესწავლა არ ვაწარმოოთ. უმჯობესი იქნება, რომ კოორდინაციაში ვიყოთ.

სახალხო დამცველს აქვს მოლოდინი, რომ გამოძიებების მიმართულებით სიახლეები იქნება, თუმცა ეს მოხდება 10 ივნისამდე თუ მას შემდეგ, არ იცის.

– ზაზა სარალიძის მხრიდან თარიღი დასახელდა, თუმცა ვადებზე თანხმობა არ ყოფილა. თანხმობა იყო იმაზე, რომ ყველა გამოძიებაზე იქნება სიახლეები. პრემიერი გამოძიების თაობაზე ვერაფერს იტყოდა, მან ჩაინიშნა ყველა გარემოება, რომელიც გაჟღერდა. პრემიერის გადადგომაზე საუბარი არ ყოფილა. თუმცა, ბატონი ზაზა უნდობლობას უცხადებდა გამოძიებას. პოლიტიკურ თემებზე, გადადგომაზე და ა.შ. საუბარი არ ყოფილა. საუბარი იყო ბატონი ზაზას წუხილებზე და მეორე მხარე პასუხობდა, თუ რას აკეთებდნენ კითხვებზე პასუხების გასაცემად. – განაცხადა ნინო ლომჯარიამ.

შეხვედრაზე პრემიერმა თავისი პოზიცია დააფიქსირა.

**გიორგი კვირიკაშვილი:**

– სამწუხაროდ, აქამდე არ მომეცა საშუალება, მშვიდ ვითარებაში შეგხვედროდით. კიდევ ერთხელ მინდა მოგისამძიმროთ. ღმერთის წინაშე მინდა ვთქვა, რომ აბსოლუტურად შევდივარ თქვენს მდგომარეობაში და ეს ჩემთვის ისეთივე ტრაგედიაა, როგორც ნებისმიერი ადამიანისთვის, ვინც თქვენი ოჯახების უბედურებას უყურებს.

როგორც მოგვიანებით გაირკვა, შეხვედრისას მხარეები შეთანხმდნენ კონკრეტულ ფორმატზე, რომელიც ზაზა სარალიძეს გამოძიების მიმდინარეობისას ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას მისცემს.

# „ქართული ოცნება“ დასრულებულია, 10 ივნისს ეს ოფიციალურად გაფორმდება“

## ჯელალ ქიქავა: „თამაზაშვილმა და ბურჯანაძემ ივანიშვილი ჩააჩოჩეს“

შორენა მარსაგიშვილი

რატომ არის დამთავრებული ხელისუფლება, რა მოხდება 10 ივნისს, რატომ აღარ სჭირდება რუსეთს ივანიშვილი და ვინ დაიკავა მისი ადგილი, როგორ მიიტყუეს ხალხი კონტრაქციაზე, რა შედეგს მოუტანს „ქართულ ოცნებას“ კონტრაქციები? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ არასამთავრობო ორგანიზაციის „სამართლიანობა და დემოკრატიის პრინციპების“ ხელმძღვანელი ჯელალ ქიქავა ესაუბრება.



**ჯელალ ქიქავა:**

– მაშინ, როცა რუსთაველზე ხალხი 16 წლის მოზარდის მკვლელების დასჯას ითხოვდა, ხელისუფლებამ ვაკის პარკში ქოცაქტივი შეკრიბა, რასაც საზოგადოების მხრიდან სამართლიანი აღშფოთება მოჰყვა.

ხელისუფლება ისეთ აგონიაშია, რომ სისულელეს სისულელეზე აკეთებს. ვაკის პარკში ახალგაზრდები მოტყუებით მიიყვანეს.

***– რას ნიშნავს ახალგაზრდები მოტყუებით მიიყვანეს?***

– ეს აქცია როცა დაანონსდა, არავის უთქვამს, რომ იქ ქოცაქტივი შეიკრიბებოდა. თავიდან ისე დახატეს სურათი, თითქოს შვილმოკლულ მამას უცხადებდნენ სოლიდარობას და დამნაშავეების დასჯას ითხოვდნენ.

ახალგაზრდობის დიდი ნაწილი ზაზა სარალიძეს სოლიდარობას უცხადებს, ამ ბავშვებს მართლა გულწრფელად სურთ, რომ დათუნა სარალიძის მკვლელები დაისაჯონ. ამიტომაც წავიდნენ ვაკის პარკში, სადაც საშინელი ამბავი დახვდათ. იქ შეკრებილი იყვნენ ქოცები. მათ არათუ სოლიდარობა არ გამოუცხადეს გამწარებულ მამას, არამედ საქმის გარჩევაზეც გადავიდნენ. ახალგაზრდებმა ეს რომ ნახეს, პროტესტის ნიშნად სასწრაფოდ დატოვეს იქაურობა.

იქ ჩემი მეგობრების შვილები იყვნენ და მათგან ვიცი ეს ყველაფერი. მთელი ახალგაზრდობა ქოცებს აგინებს. მათ ვერანაირი კონტრაქცია ვერ გადაარჩენს. საქართველოში ქოციანობა დასრულებულია.

***– თქვენ გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული უამრავ ანტისახელისუფლებო აქციაში გაქვთ მონაწილეობა მიღებული. ხშირად აწყობდა ხელისუფლება კონტრაქციებს?***

– კონტრაქციებს ყველა ხელისუფლება იყენებდა. ამ მეთოდს იყენებდნენ შევარდნაძე, ასლან აბაშიძე, სააკაშვილი. კონტრაქციების მოწყობა ქოცების მოგონილი არაა, ამათ არაფრის მოგონების შნო არა აქვთ. უცოდინრები და უწიგნურები არიან, მაგრამ ერთი რამე კი უნდა იცოდნენ, რომ კონტრაქციების მოწყობა ნიშნავს, რომ ხელისუფლება აგონიაშია.

ამათი წინამორბედებიც უწყობდნენ ოპოზიციას კონტრაქციებს, მაგრამ ძალაუფლება ვერ შეინარჩუნეს. კონტრაქციებზე როცა მიდიხარ, უნდა იცოდე, რომ შენი დასასრული მოახლოებულია. ქოცების დასასრულიც მოვიდა. ახლა ამას ოფიციალურად სჭირდება გაფორმება

***– თქვენ უკვე მეორედ თქვით, რომ „ოცნება“ დასრულდა. რა გაძლევთ ამის თქმის საბაბს?***

– რა მაძლევს ამის თქმის საბაბს და შექმნილი ვითარება. ქოცობა დამთავრებულია.

***– „ქართული ოცნება“ სულ სხვანაირად ფიქრობს.***

– ეგენი ყოველთვის სხვანაირად ფიქრობდნენ და მაგიტომაც დაემხოთ ხელისუფლება თავზე. ცოტაც მოიცადეთ და ნახავთ, რომ მთავრობა გადადგომის შესახებ განცხადებას გააკეთებს.

***– ხელისუფლების წარმომადგენლები ამბობენ, რომ ნაცების მოთხოვნაზე მთავრობა არ გადადგება.***

– ნაცების მოთხოვნაზე არ გადადგებიან? მათ გადადგომას ნაცები კი არა, მთელი საქართველო ითხოვს. მთელი 6 წელი იძახეს, ნაცები მოდიანო და იმდენი ქნეს, ხალხი მიადგა მათ. ხალხის რისხვას ვერსად დაემალებიან. ასე მთავრდება ის ხელისუფლება, რომელიც პოლიტიკური მეძავებითა და პრასტიტუტკებით არის დაკომპლექტებული.

***– ამ განცხადების შემდეგ, სიძულვილის ენით საუბარში დაგდებენ ბრალს.***

– სად დაინახეთ სიძულვილის ენა? ვთქვი ის, რაც რეალურად არის. ძალიან არ მინდოდა, სიტყვები „მეძავი“ და „პრასტიტუტკა“ მეხმარა, მაგრამ „ქართული ოცნების“ შემადგენლობას რომ გადახედავ, სხვა რა ტერმინი უნდა გამოიყენო.

ქოცებმა ბევრი რამე დამაბრალეს და არც ის იქნება პრობლემა, თუ სიძულვილის ენით საუბარს დამაბრალებენ. ცუდი ისაა, მაგენი თუ შეგაქებენ.

„ქართულ ოცნებას“ არა აქვს უფლება, ვინმეს სიძულვილის ენით საუბრის გამო უსაყვედუროს. სიძულვილს თავად ასხივებენ ყოველ გამოსვლაში. სახეებზე შეხედეთ, იქაც სიძულვილი აწერიათ.

მთელი საქართველო მალხაზ მაჩალიკაშვილის და ზაზა სარალიძის მხარდასაჭერად არის გამოსული. ამ დროს გამოდის პრემიერი და ამბობს, რომ ტერორისტის ოჯახს არ შეხვდება. ეს არ არის სიძულვილი? ეს სიძულვილზე უარესია და მიცვალებულის შეურაცხყოფაა.

***– იმავე გიორგი კვირიკაშვილმა რამდენიმე თვის წინ, მთავრობის სხდომიდან მიუსამძიმრა მალხაზ მაჩალიკაშვილს შვილის გარდაცვალების გამო.***

– ახლა ტერორისტს ეძახის. ესაა მაგათი ნამდვილი სახე. რატომ არის ის ბავშვი ტერორისტი? დაუმტკიცეს რამე? ტერორისტები თავად არიან. მთელი ხალხი დატერორებულია. ტერორისტები მეტს კი არაფერს აშავებენ.

თავი წაგვჭამეს იმაზე საუბრით, ქუჩაში ხალხს აღარ ხოცავენო, დათუნა სარალიძე ქუჩაში არ მოკლეს? ან რამე მნიშვნელობა აქვს, სად მოკლავ ადამიანს, სახლში თუ გარეთ? სულ მიშას მმართველობის სისხლიან 9 წელს ახსენებენ და იმ დროს მშობლებს შვილების ქუჩაში გაშვება არ ეშინოდათ. ახლა საბავშვო ბაღშიც შიშით უშვებენ.

***– საბავშვო ბაღში რატომ უშვებენ შიშით?***

– იმიტომ, რომ იქ ბავშვი შეიძლება ფანჯრიდან გადმოვარდეს. არავინაა გარანტირებული, რომ მის შვილს ვადაგასულ საჭმელს არ აჭმევენ. რაც არასისხლიანი ქოცები მოვიდნენ, რამდენი ბავშვი გადმოვარდა საბავშვო ბაღში ფანჯრიდან ან რამდენი მოიწამლა საკვებით?

მიშას ლანძღავდნენ, მანდატურები რად გინდოდა სკოლაშიო. ამათ მანდატურის სამსახური გადააკეთეს და შედეგმაც არ დააყოვნა – ბავშვები ხოცავენ ერთმანეთს.

მიშას ლანძღავენ და აბა დაითვალონ, იმ 9 წლის მანძილზე უფრო მეტი მოზარდი მოკლეს თუ ახლა, ამ სისხლიანი 6 წლის მანძილზე.

***– თქვენი საუბრიდან თუ ვიმსჯელებთ, სააკაშვილის სერიოზული მხარდამჭერი ხართ.***

– ვარ და ამის აღიარების არ მრცხვენია. დიახ, მიშა არის პოლიტიკური გურუ. ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებაში ყოფნა არ დასცალდა. საქართველოს მართავდნენ შევარდნაძე, მიშა და ივანიშვილი. ამ სამი კაცის მმართველობა შევადაროთ ერთმანეთს. არის მიშა მაგარი? რა თქმა უნდა, არის.

მისი მმართველობის პერიოდში დაემსგავსა საქართველო სახელმწიფოს. მოვიდა ბიძინა და მის გაკეთებულს ანგრევს 6 წელია. თავად არაფერი გაუკეთებია, დააქცია და ჩამოშალა ქვეყანა. ისეთ დონემდეა საქმე მისული, ქუჩაში რომ გადიხარ, არ იცი, დაბრუნდები სახლში თუ მიგასვენებენ. მიშას დროს ასე არ ყოფილა. იმისი ნამდვილად არ გეშინოდა, რომ ქუჩაში მოგკლავდნენ.

***– მიშას დროსაც ბევრი ადამიანი მოკლეს ქუჩაში.***

– მიშას დროსაც იყო გადაცდომები. არსად მითქვამს, რომ იგი უშეცდომო იყო. მისი ხელისუფლება ზოგჯერ ზედმეტად მკაცრი იყო ადამიანების მიმართ. ამიტომაც გადაირჩია ნაციონალური მოძრაობა ხალხმა. კარგი იყო, რომ ხელისუფლებაში ბიძინა ივანიშვილი მოვიდა.

***– როგორც თქვენ ამბობთ, ივანიშვილმა დააქცია ქვეყანა და დადებითი რატომ იყო ხელისუფლებაში მისი მოსვლა?***

– ივანიშვილმა და მისმა გუნდმა რომ ქვეყანა დააქციეს, ამას კიდევ გაგიმეორებთ, მაგრამ 2012 წელს კარგი იყო, ხელისუფლება რომ შეიცვალა. ხალხმა ივანიშვილი აირჩია და არა – „ოცნება“. იმედი ჰქონდათ, რომ რაღაცას გააკეთებდა. ამან რა გააკეთა? იმის მაგივრად, რომ მთავრობის მეთაური ყოფილიყო, სახლში წავიდა და კულუარებიდან დაიწყო ქვეყნის მართვა.

სააკაშვილს ბევრი შეცდომა ჰქონდა, მაგრამ ქვეყანა ააშენა. ბიძინას ეს გზა უნდა გაეგრძელებინა. მან კი ნაციონალებთან დაიწყო ბრძოლა.

***– ბრძოლა რანაირად დაიწყო, კოაბიტაცია არის ბრძოლა?***

– ნაციონალებთან ნამდვილად არ შესულან კოაბიტაციაში. ივანიშვილი ყველაფერს აკეთებდა ამ პარტიის დასაშლელად. ვილაცები გადაიბირა. ეს 6 წელია გაიძახიან, სააკაშვილს 0% აქვსო და ამ 0%-იან მიშას სი-ენ-ენის და ბი-ბი-სის სტუდიებიდან არ უშვებენ. ბიძინა მეიკითხა რომელიმე გავლენიანმა მედიასაშუალებამ?

კოაბიტაციაც იყო. როგორ არ იყო. „ქართული ოცნება“ ჩაეჭიდა და ჩაეხუტა ბიძინას ხურდაფულში მოყოლილ პარტიას. ამ პარტიამ სახელად „ევროპული საქართველო“ დაირქვა. პარლამენტში მიშას სახელით გავიდნენ. იქედან კი ბიძინას კალთაში გადაბარგდნენ. ამ კალთიდან მაგათ იოლად ვერ გადმოაგდებ. ამიტომაც არის, რომ უარს ამბობენ ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებზე.

***– უარი როდის თქვეს, ამბობენ, რომ მხარს დაუჭერენ.***

– საქმეც მაგაშია, რომ მხოლოდ ამბობენ, მაგრამ ამ იდეას მხარდაჭერას არ უცხადებენ. დღეს თუ ვინმეს არ აწყობს საქართველოში ვადამდელი არჩევნები, ეს ქოცები და ბიძინას ხურდაფულში მოყოლილები არიან.

ქოცებმა იციან, რომ პარლამენტში უმრავლესობა აღარ ეყოლებათ, „ევროპული საქართველო“ კი საკანონმდებლო ორგანოში ერთ კაცსაც ვეღარ გაიყვანს. ახლა 30 დეპუტატი ჰყავთ და ყველაფერს გააკეთებენ, რომ ვადამდელი არჩევნები არ დაინიშნოს.

ბიძინას ხურდაფულში მოყოლილები, ეტყობა, ვერ აცნობიერებენ, რომ „ქართული ოცნება“ დამთავრდა. 10 ივნისს ყველაფერი საბოლოოდ გაირკვევა.

***– 10 ივნისს რა ხდება?***

– 10 ივნისს თბილისში ოპოზიცია გრანდიოზულ საპროტესტო აქციას გამართავს. ჩვენ ყველანი ერთად ვეტყვით ქოცებს, რომ სახლში წასვლის დროა. ისინი ისედაც წასულები არიან, მაგრამ ეს ოფიციალურად უნდა გაფორმდეს.

***– არადა თავიდან ეს პროტესტი დათუნა სარალიძის მკვლელობის გამოძიების მოთხოვნით დაიწყო. აღარ ითხოვთ ამ საქმის გამოძიებას?***

– როგორ არ ვითხოვთ! ამ საქმის გამოძიება რომ გვინდა, მაგიტომ ვითხოვთ ამგენის გადადგომას. „ქართულმა ოცნებამ“ დაგვიმტკიცა, რომ ამ საქმის გამოძიება არ უნდათ. სარალიძის და სხვების მკვლელობების გამოძიება თუ გვინდა, ახალი ხელისუფლება უნდა მოვიდეს ქვეყანაში.

***– თქვენ ახალი ხელისუფლების მოსვლაზე საუბრობთ, მაგრამ, როგორც ამბობენ, მთავრობა თუ გადადგა, პრემიერად ისევ ივანიშვილს წარადგენენ.***

– რას ჰქვია თუ გადადგა? გადამდგარია და ეგაა. მაგენს კარგად რომ ჰქონებოდათ საქმე, მთავარ პროკურორს კი არ გადმოაგდებდნენ. კიდევ ერთხელ გეუბნებით, მაგენი დამთავრებული არიან. მაგათზე ადრეა დამთავრებული ბიძინა.

***– ბიძინა რანაირად არის დამთავრებული? კაცი მეორედ მოვიდა პოლიტიკაში.***

– რაის მეორედ მოვიდა? მაგის ადგომა არ გაიშვა. მაგი პოლიტიკაში რომ დაბრუნდა, კი არ ადგა, არამედ დაწვა და თანაც საბოლოოდ დაწვა პოლიტიკურად.

***– რანაირად დაწვა პოლიტიკურად?***

– რანაირად და არავისთვის საჭირო აღარ არის. რუსეთმა საბოლოოდ უარი თქვა მაგაზე.

***– რანაირად თქვა უარი. პუტინის კაციაო საქართველოში, მაგას არ ამბობდით ივანიშვილზე?***

– ამას იმიტომ ვამბობდით, რომ მართლაც ასე იყო. ახლა სხვაგვარად არის საქმე. ახლა პუტინს ის არაფერში არ სჭირდება. რუსეთის პრეზიდენტმა მას შემცვლელი მოუძებნა. უფრო სწორედ, იმგენმა თავად გაჭრეს გზა რუსეთისკენ.

***– ვინ არიან ისინი, ვინც პუტინის კარზე ივანიშვილი ჩაანაცვლეს?***

– რამდენიმე დაჯგუფებაა. ერთია თამაზაშვილის, მეორე – ბურჯანაძის. არიან სხვებიც. ამათ ძალიან კარგად იპოვეს საერთო ენა რუსეთთან. ივანიშვილი საჭირო აღარ არის.

ეს ბიძინამაც გაიგო და ამიტომაც მობრუნდა პოლიტიკაში, მაგრამ დაგვიანებულია. ის რუსეთს აღარ სჭირდება.

***– რუსეთს შეიძლება აღარ სჭირდება, მაგრამ დასავლეთს? იქნებ დასავლეთისთვის არის მისაღები?***

– დასავლეთს სულ არაფერში სჭირდება. დასავლეთში დიდი ხანია ფიქრობენ, როგორ მოაცილონ ის საქართველოს.

***– რამდენიმე თვის წინ თქვენ გვითხარით, რომ ივანიშვილი დასავლეთისგან უსაფრთხოების გარანტიებს ითხოვდა. ახლა რა ხდება?***

– ახლაც ითხოვს. რუსეთმა ჩააჩოჩა. ახლა მას დასავლეთის იმედი აქვს, მაგრამ სულ ტყუილად. ის თავის პარტიასთან ერთად დამთავრდა. ამაში მალე ყველა დარწმუნდება. 10 ივნისს მთელი მსოფლიო დაინახავს, რომ ქართველი ხალხი ქოცებს, ბიძინას და მის სატელიტებს უარს ეუბნება.

***– გადაჭარბებული მოლოდინი ხომ არ გაქვთ 10 ივნისის აქციისადმი?***

– ძალიან გონივრული მოლოდინები მაქვს. იმ დღეს, სატელიტების გარდა, მთელი ოპოზიცია იქ იქნება.

***– პრორუსულებიც?***

– რა თქმა უნდა.

***– მერე ეს არ შეგიქმნით პრობლემას პროდასავლურებს?***

– ეს არის ბრძოლა და ამ ბრძოლაში ერთად უნდა დავდგეთ.

## მაისში წლიური ინფლაციის დონემ 2,5 პროცენტი შეადგინა — გავლენა ფასების ცვლილებამ იქონია



2018 წლის მაისში წლიური ინფლაციის დონემ 2,5 პროცენტი შეადგინა – ინფორმაციას სტატისტიკის ეროვნული სამსახური ავრცელებს. დოკუმენტის მიხედვით წინა თვესთან შედარებით სამომხმარებლო ფასების ინდექსი არ შეცვლილა.

ყოველთვიური ინფლაციის მაჩვენებლის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე:

სურსათზე და უალკოჰოლო სასმელებზე ფასები 0,7 პროცენტით შემცირდა, რაც ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე -0,22 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასები შემცირდა ქვეჯგუფებზეც: რძე, ყველი და კვერცხი (-6,6 პროცენტი), ხორცი და ხორცის პროდუქტები (-0,5 პროცენტი), შაქარი, ჯემი და სხვა ტკბილეული (-0,1 პროცენტი). ამასთან, ფასები გაიზარდა ხილსა და ყურძენზე (4,0 პროცენტი), ბოსტნეულსა და ბაღჩეულზე (1,7 პროცენტი), ასევე თევზეულზე (1,5 პროცენტი);

ტრანსპორტზე ფასები გაზრდილია 1,0 პროცენტით, რაც თვის ინფლაციაზე 0,13 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასები გაიზარდა სატრანსპორტო მომსახურებაზე (1,2 პროცენტი) და პირადი სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციაზე (1,2 პროცენტი). ამასთან, ფასები შემცირებულია სატრანსპორტო საშუალებების შეძენაზე (-1,1 პროცენტი).

# ზაზა ხატიაშვილი: „შეიძლება თეა წულუკიანმა მთავარი პროკურორი შეარჩიოს და ამაზე გაჩუმდეს ხალხი?!“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ადვოკატთა ასოციაციის ყოფილი პრეზიდენტი **ზაზა ხატიაშვილი** პასუხობს.

***– ბატონო ზაზა, კეთდება შეფასებები, რომ „ოცნება“ ბეწვის ხიდზე გადის. თქვენ აქტიურად მონაწილეობდით გასული კვირის საპროტესტო აქციებში. რა დაგანახათ ამ პროცესმა?***

– მე ადრეც მითქვამს, საქართველოში სამართალდამცავი სტრუქტურა იმდენად გამოსულია მწყობრიდან და იმდენად არანორმალურ რაღაცებს აკეთებენ, რომ ჯერ კიდევ კარგა ხნის წინ ვიწინასწარმეტყველე ის, რაც ახლა მოხდა. სააკაშვილს შესაძლოა ყველაზე მეტად არ უნდოდა გირგვლიანის საქმე, მაგრამ ეს პროცესი რადგან მიუშვა, რადგან ქვეყანაში მურუსიციაზია და ჩინჩალაციზაცია დაუშვა, გახდა ფაშისტი და ჰიტლერი.

რაც სააკაშვილმა ჩაიდინა, ზუსტად იგივე გაიმეორა ივანიშვილმა. თანაც ნუ დაგვავიწყდება, რომ ეს ფეოდალია. ქვეყანა სერიოზულ კრიზისამდეა მისული. ამათ არ აინტერესებთ ადამიანების ბედი, მაგრამ ბიძინამ გათვალა ერთი რამ...

***– რა გათვალა?***

– ხალხს ისე ეზიზღება სააკაშვილის რეჟიმი, რომ თუ აქციაზე მისგან კონტროლირებულ სააკაშვილის რეჟიმის ყველაზე ოდიოზურ ფიგურებს დააყენებდა, შემდეგ ატყდებოდა ერთი ამბავი, რომ ეს ნაციონალების აქციაა, ამით ის სიტუაციის მართვას შეძლებდა და ასეც მოხდა.

***– ანუ მარგინალიზაცია მოხდა ამ პროცესის?***

– რა თქმა უნდა! ეს ყველაფერი სუსმა გააკეთა და ხალხიც აჰყვა. მე ვიყავი პირველი ორი დღე იმ აქციაზე. იქ 80% იყო სტუდენტი და ბავშვი. სუსმა დაიწყო იქ აქტიური მუშაობა თავისი აგენტების მეშვეობით და წესიერი ადამიანები ამას წამოეგნენ. 20 ათას კაციანი აქცია იყო პირველ და მეორე დღეს, დიდი დიდი იქ ყოფილიყო 200-300 ნაციონალი და ეს ნაციონალების აქცია იყო?! ამიტომ მარგინალიზაცია გააკეთეს ამ პროცესის.

***– და ამან მიიყვანა ამ პროცესებამდე?***

– რა თქმა უნდა. ხოლო როდესაც ხალხმა მიაქცია ყურადღება, მაშინვე სუსი ჩაერთო საქმეში. სად იყო ამ 6 თვის მანძილზე ან შინაგან საქმეთა მინისტრი, ან მთავარი პროკურორი?! მოქალაქე ივანიშვილი რომ იძახოდა, მე თუ დავინახე ადამიანების უსაფრთხოებას საფრთხე დაემუქრა, მე მათ სადარაჯოზე დავდგებიო. სად იყო?! რატომ ერთხელ ხმა არ მოიღო?! დღეს ცდილობენ, ეს გაუბედურებული კაცი, შვილმოკლული მამა, გამოიყვანონ ვიღაცის აგენტად, როცა მთელი 6 თვე იხვეწებოდა, მომეხმარეთო! ელემენტარულად ვინც მიეხმარა, იმ ადამიანთან დადგა! აქედან გამომდინარე პროცესის მარგინალიზაცია კი არ მოხდა, „ქართული ოცნების“ მარგინალიზაცია მოხდა, იმიტომ, რომ ბიძინა ივანიშვილისთვის მთავარია, რომ მისი მთავარი ოპოზიციური ძალა იყოს ნაციონალური მოძრაობა.

თუმცა აქვე ვსვამ კითხვას – ნაციონალური მოძრაობის ყველაზე ოდიოზური სახეები სად არიან?! სად და „ქართულ ოცნებაში“! ყველზე ოდიოზური პროკურორები სად არიან?! „ქართულ ოცნებაში“!

***– ანუ საპროტესტო მუხტი ჩააცხრეს იმით, რომ ნაციონალებს აკიდეს ეს აქციები?***

– იცით რა, ამით ხალხმა დაინახა, თუ ვისთან აქვს საქმე. თუმცა სიმართლეს ამბობთ, ნაციონალების გამოყენება ხდება პროცესის ჩასახშობად. ბიძინამ დაიწყო იმის გათამაშება, რომ ეს ნაციონალების აქციააო და იმდენი ტვინი არ ეყოთ ნაციონალებს, ამ აქციაზე არ მისულიყვნენ.

***– წამოეგნენ ამ თამაშზე?***

– წამოეგნენ თუ სპეციალურად მივიდნენ, ეს კიდევ გასარკვევია. მეც ვიყავი აქციაზე და იცით, რა დამიწერეს?!

***– რა?***

– ზაზა ხატიაშვილს მთავარი პროკურორობა უნდა და იმიტომ დგას ამ აქციაზეო. წარმოგიდგენიათ?! მზად იყო ეს სუსი, რომ ყველა ადამიანისთვის რაღაც იარლიყი მიეწებებინა. ხალხს შეეშინდა, ვაიმე, ნაციონალი არ დამიძახონო. ნაციონალი როგორ უნდა დაგიძახონ ხალხო, თვითონ ნაციონალები აღარ არიან ნაციონალები! დღეს ყველზე დიდი ნაციონალი ვინ არის? ბიძინაზე დიდი ნაციონალი არის ვინმე?! ეგ ფეოდალი ბიძინა მურუსიძე!





***– ბატონო ზაზა, გამოსავალს თუ ხედავთ შექმნილი სიტუაციიდან?***

– თავდაპირველად, მე რომ ამ აქციაზე მივედი პროკურატურასთან, ყველა იძახოდა, მოვითხოვოთ მირზა სუბელიანის დაკავებაო. მე ვუთხარი მათ, რომ სანამ მთავარი პროკურორი და თეა წულუკიანი არ გადადგებიან, აქედან ნუ წავალთ-მეთქი. არ დამიჯერეს. იქ მთავარი მოთხოვნა უნდა ყოფილიყო წულუკიანის გაგდება!

***– რატომ? რას ედავებით წულუკიანს?***

– იმიტომ, რომ მთავარი პროკურორი წულუკიანმა წარადგინა, მე და თქვენ ხომ არ წარგვიდგენია?! არასწორი მესიჯები იყო ამ აქციაზე. ჩანერგილი პოლიტიკოსები არიან ძალიან ბევრი. ვინ „ქართულ ოცნებასთან“ თანამშრომლობს, ვინ სხვასთან, ვერ გაიგებ!

***– დღეს მთლიანად ნაციონალებმა გადაიბარეს ეს პროცესი, ნაციონალები უძღვებიან ამ აქციას.***

– უკვე იძულებულები არიან, ასე მოიქცნენ. მათ დააფიქსირეს, რომ ამ ადამიანს უდგანან გვერდში. „ქართული ოცნება“ დადგომოდა, ის კაცი ხომ ყველას ეხვეწებოდა, მოდით და გვერდში დამიდექითო, რატომ არ მივიდნენ?! ან რას ჰგავდა ის, რაც კვირას ვაკის პარკში აქციაზე მოხდა! მე ამ ხალხს მინდა ვუთხრა, ვინც ვაკის პარკში მივიდა, თუ ისინი „ოცნებამ“ არ მიიყვანა, მე რომ ლევან მურუსიძეზე აქცია ჩავატარე, იმ აქციაზე რატომ არ მოვიდნენ?! რატომ დაიმალნენ?!

ლევან მურუსიძეზე დიდი ნაციონალი ვინ არის?! ივანიშვილმა რომ მას ჩააბარა სასამართლო სისტემა, მაშინ რატომ არავინ არ გამოვიდა?! აქედან გამომდინარე ისმის კითხვა – ეს ხალხი ვინ არის? ვინ და ბიძინისტები! ბიძინა ივანიშვილმა ჩაიდინა საუკუნის აფიორა, ლევან მურუსიძე დაგვასვა თავზე და ეს არ გააპროტესტეს! ეს ხალხი იქ ბიძინამ დააყენა! დღეს ყველაფერი საით მიდის იცით?!

***– საით?***

– აქამდე დიდი ნიჰილიზმი იყო ხალხში, დღეს ეს ხალხი გამოცოცხლდა და გაიგო, ვინ არის ბიძინა ივანიშვილი! ამ აქციებზე ადამიანების 90% ნაციონალები არ ვიდექით! ნაციონალები რომ აქციას მართავენ, იქ დაახლოებით ათასი კაცი მიდის, მაქსიმუმ ორი ათასი. გამოაკელი იმ ოცი ათას და დანარჩენი 18 ათასი ხომ არ იყო ნაციონალი?! ამ ხალხმა ნათლად დაინახა ბიძინას რეალური სახე. რა იყო ეს ვაკის პარკში! შვილმკვდარ მამას ხელი კრეს! წარმოგიდგენიათ?! აბა ვინ არიან ის ხალხი, თუ არა მართულები?! სახალხო დამცველს აგინეს, ხალხო! ეს პროცესები ხალხის გამოღვიძების, ხალხის შემობრუნების ტოლფასია! დამიჯერეთ, ასე იქნება! ბიძინამ რაც დათესა, იმას მოიმკის!

***– შეუქცევადი პროცესები დაიწყება?***

– შეუქცევადი პროცესების დაწყება ისევ ბიძინას აწყობს. თუ აქედან გააგდებენ, ტანჯულის მანტია რომ მოისხას. პროცესები უნდა გაგრძელდეს ჩვეულ კალაპოტში და ეს ადამიანი საზოგადოებისთვის ისეთივე საზიზღარი და მიუღებელი გახდება, როგორც სააკაშვილი!

***– ბატონო ზაზა, აქტიური კონსულტაციები მიმდინარეობს მთავარი პროკურორის კანდიდატურის შერჩევასთან დაკავშირებით თეა წულუკიანთან. სხვადასხვა სახელები სახელდება. ბოლოს ითქვა, რომ შს მინისტრის მოადგილე ნათია მეზვრიშვილი შეირჩა. რას იტყვით თქვენ?***

– განა შეიძლება თეა წულუკიანმა მთავარი პროკურორი შეარჩიოს და ამაზე გაჩუმდეს ხალხი?! ვინც არ უნდა დანიშნონ ამ თანამდებობაზე, თქვენც რომ გახდეთ მთავარი პროკურორი, იგივე კრახი გელოდებათ, რაც მოუვიდა შოთაძეს. იმიტომ, რომ სისტემაა დასანგრევი და კანონმდებლობა შესაცვლელი.

***– ანუ ვინც უნდა იყოს მთავარი პროკურორი, ვერაფერს შეცვლის?***

– ვერაფერს შეცვლის, იმიტომ, რომ ამ ქვეყნის მთავარი უბედურებაა ბიძინა ივანიშვილი. ერთმა მთავარმა პროკურორმა რა უნდა შეცვალოს. ეს ტყუილი ილუზია იქნება. სანამ ბიძინაა ამ ქვეყნის სათავეში, ვერავინ ვერაფერს ვერ შეცვლის!

# მანუჩარ მაჩაიძე: „ბიძინა ივანიშვილმა დიდი წმენდა უნდა ჩაატაროს“

## „სააკაშვილის მიერ ჩატარებული რეფორმები გადასახედია“

მარიამ მჭედლიშვილი

ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დეპუტატს, საკრებულოს ყოფილ წევრს **მანუჩარ მაჩაიძეს**.

***– პრემიერი კვირიკაშვილი აცხადებს, რომ რადიკალური ჯგუფები ცდილობენ შექმნან არასტაბილურობის განცდა. ქვეყანაში არასტაბილურობა უკვე შექმნილია.***

– საქართველოში რომ გარკვეულ პოლიტიკურ ჯგუფებს არასტაბილურობა უნდათ, ამას წყალი არ გაუვა. ვითარების არევა და სახელმწიფო გადატრიალება ყოფილი ხელისუფლების ინტერესშია. ნაცმოძრაობამ ბევრჯერ დაამტკიცა, რომ არასტაბილურობას ესწრაფვის. ახლანდელი საპროტესტო აქციების ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი – კუპრავა ნაცმოძრაობის ყოფილი ზონდერია. რაც უნდა იძახონ, ეს საზოგადოების აქციაა და ნაციონალები არაფერ შუაში ვართო, ეს ტყუილია.

უბედურება ისაა, რომ ადამიანები ეგებიან ხოლმე დემაგოგების ანკესს. დემაგოგიას და ორატორობას დემოკრატიულ სახელმწიფოებშიც გასავალი აქვს. ისტორიაში არის ფაქტები, როცა დემაგოგებს ქვეყნები დაუღუპიათ. ხალხს მინდა ვურჩიო, არჩევანი იმის მიხედვით კი არ გააკეთოს, თუ ვინ როგორ ლაპარაკობს. მთავარია არა ლამაზი ფორმა, არამედ, შინაარსი და მოქმედებები.

***– ამ აქციების ორგანიზატორებს შინაარსიც კარგად აქვთ გათავისებული. შვილმკვდარი მშობლების ტრაგედიები, დამნაშავეების დაუსჯელობა, გავლენიანთა თვითნებობა რეალობაა.***

– ვიზიარებ ამ ადამიანების მწუხარებას. მათ შემთხვევებში იყო გადაცდომები. დამნაშავეები უნდა დაისაჯონ. სამწუხაროა, რომ პოლიტიკანები ამას დესტაბილიზაციისთვის იყენებენ და ხალხს კარგად შეფუთული ფრაზებით აბრუებენ. ბევრი რამ მახინჯი სისტემის ბრალია. საერთოდ, სააკაშვილის მიერ ჩატარებული რეფორმები გადასახედია.

***– ნაცმოძრაობა თავისი რეფორმებით ამაყობს. ყველაზე დიდი სატრაბახო იუსტიციის სახლებია.***

– საქმეც ისაა, რომ ეს მხოლოდ შენობებია და მეტი არაფერი. რას აკეთებენ ისინი განსაკუთრებულს? ან პროკურატურაში და სასამართლოში რა ხდება? საქართველო ჯერ არ არის მზად მოსამართლეების უვადოდ დანიშვნისათვის.

***– სასამართლო რეფორმის რამდენიმე ტალღა ამ ხელისუფლებამაც ჩაატარა.***

– „ქართულმა ოცნებამ“ გააგრძელა ის, რაც ნაციონალებმა დაიწყეს. ყველაფერს მაშინ ჩაეყარა საფუძველი. ამ ცვლილებებმა რომ არ გაამართლა, კიდევ ერთხელ დავრწმუნდით. მართლმსაჯულება ცუდ დღეშია.



***– ამ მღელვარე დღეებში ისევ განახლდა საუბარი კოაბიტაციაზე და იმაზე, რომ ეს შეცდომა იყო.***

– რა თქმა უნდა, შეცდომა იყო. როგორ შეიძლება, კოაბიტაციის მომიზეზებით კანონი არ აღასრულო! დამნაშავეები უნდა დაისაჯონ. გაუგებარია, რატომ არ უნდა აგოს ვინმემ პასუხი მარტო იმის გამო, რომ ნაციონალია! უსამართლობასა და დანაშაულში ბევრი მაშინდელი პროკურორი და მოსამართლეა გარეული. ისინი არ დაუსჯიათ. პირიქით, არაერთი დააწინაურეს. სააკაშვილის კადრები ყველგან არიან. სააკაშვილი სახელმწიფო გადატრიალებაზე მუშაობს.

***– აქციები და კონტრაქციები გაგრძელდება?***

– არ მინდა, ასე მოხდეს. ჩვენ სამოქალაქო ომი გამოვლილი გვაქვს და მისი გამეორება არ გვინდა. აქციები აკრძალული არ არის, მაგრამ ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა იღონოს იმისთვის, რომ სამოქალაქო დაპირისპირება არ მოხდეს. ეს ხელისუფლების უპირველესი მოვალეობაა. ბიძინა ივანიშვილს წმენდა მოუწევს. მან დიდი წმენდა უნდა ჩაატაროს.

***– სად?***

– როგორც მართლმსაჯულების სისტემაში და ძალოვან უწყებებში, ისე პარტიაში. ყველა რგოლი სავსეა სააკაშვილის კადრებით. ისინი სახელმწიფოს ზიანს აყენებენ.

***– გამოსავალს წმენდასა და რეფორმებში ხედავთ?***

– დიახ. ხალხიც უნდა დაფიქრდეს. ადამიანები არ უნდა აჰყვნენ ლამაზად მოლაპარაკე თვალთმაქცებს. კვირას, ორივე აქციაზე, ერთი რამ შევნიშნე. ორივეგან გამოიყენებოდა ეროვნული თემატიკა და ფრაზები. ხშირი იყო ერის ხსენება. გამომსვლელები სკანდირებდნენ „საქართველოს“. მათგან ბევრი იყო ისეთი, რომელიც საკუთარ ერს და ეროვნულს ვერ იტანს. ადრე ეს ხალხი ქართველების გადაკეთებას და ტრადიციების დანგრევას ცდილობდა. ახლა ამ დემაგოგებს დასჭირდათ და „ერს“ ახსენებენ. მათ საერთოდ არ აქვთ უფლება, დაიძახონ „საქართველო“ და ერზე ილაპარაკონ.

# ზაზა შენგელია: „სახელმწიფომ პირობა უნდა შექმნას, რომ მუსიკა, როგორც ბიზნესი, შედგეს“

საქართველოში დღეს ალბათ ყველაზე უფრო მოთხოვნადი ელექტრონული მუსიკაა. ეს მზარდია ყოველდღიურად და ყოველწამიერად, რაც დიდ აუდიტორიას კრებს. საამაყოა ის, რომ ჩვენ ელექტრონული მუსიკის სკოლა გაგვაჩნია და მათ წლიდან წლამდე აქტიურად უსმენენ – „ბრავო რეკორდსის“ პრეზიდენტი ზაზა შენგელია „კომერსანტის“ სატელევიზიო გადაცემაში „ინტერვიუ კომერსანტთან ნიკა ქავთარაძესთან“ ერთად.



***– ჩვენ ქვეყანაში მომღერალმა ფული როგორ უნდა იშოვოს?***

– ყველაზე სწორი შეკითხვაა. რატომ აშენებს სახელმწიფო გზებს? რათა მიმოსვლა განვითარდეს და ეკონომიკა აყვავდეს, რატომ ქმნის ინფრასტრუქტურას ინვესტორებისთვის? იმიტომ, რომ ქვეყანაში მეტი ინვესტიცია შემოვიდეს.

ზუსტად ამ როლს მუსიკალურ ინდუსტრიაში საავტორო უფლებები თამაშობს. მნიშვნელოვანია, ჩვენი საავტორო უფლებების ჰარმონიზაცია და იმპლემენტაცია ცივილიზებულ სამყაროსთან.

როდესაც მუსიკოსი პროდუქტს უშვებს, მას გაყიდა უნდა შეეძლოს, ეს ჩვეულებრივი ბიზნესი უნდა იყოს.

რეგიონებში მუსიკაზე მოთხოვნაა და როდესაც მუსიკალური პროდუქცია თბილისში იქმნება, ყველა მომღერალი მზადაა რეგიონში იმოგზაუროს და იქ მცხოვრებ აუდიტორიას წარუდგინოს, თუმცა ამის საშუალება არ არის.

***– მუსიკაზე მოთხოვნა რამდენადაა?***

– რა თქმა უნდა, არის. პირველი, უნდა გაიყიდოს მუსიკა, ხოლო მეორე – რეგიონებში არ არსებობს საგასტროლო ინფრასტრუქტურა, კომფორტული შესაბამისი საკონცერტო დარბაზები და ეს დიდ წვალებასთანაა დაკავშირებული.

სახელმწიფომ პირობა უნდა შექმნას, რომ მუსიკა, როგორც ბიზნესი, ისე შედგეს, შემდგომ მეტი პროდუქციის გამოშვება მოხდება, რომელიც გაიყიდება.

***– ტელევიზია უფრო კარგი ბიზნესია თუ მუსიკალური მიმართულება?***

– საქართველოში არც ერთი, თუმცა ზოგადად, ტრადიციულ მედიაში კრიზისია, რადგან ონლაინ მედიამ ტრადიციული მედია გვერდზე გასწია. ეს ეხება როგორც ბეჭდვით, ისე სოციალურ მედიას. მაგალითად, ევროპის ქვეყნებში ონლაინ რეკლამა 2015-წლიდან უფრო მეტია, ვიდრე მანამდე.

***– კანონი, რომლის მიხედვითაც საზოგადოებრივ მაუწყებელზე რეკლამები გავა, ეს ბაზარს არ დაარტყამს?***

– ჩემი აზრით, არა და გულახდილად რომ ვთქვათ, მსოფლიოში ოთხი ტელევიზია არსებობს, რომელიც რეკლამისგან სტერილურია. პირიქით ვფიქრობ, რომ რეკლამა გარკვეულწილად სტიმულის მიმცემიც იქნება მათთვის, ასე უფრო მეტად მაყურებელზე იქნებიან ორიენტირებულები. ამ მიმართულებით, ქვეყნების უმეტესობაში შერეული მოდელია.

***– როდესაც ტელევიზიის ხელმძღვანელი იყავით, რა იყო ყველაზე დიდი გამოწვევა?***

– ყველაზე დიდი გამოწვევა იყო მაყურებლის აზრი, თუ რას იტყოდნენ ისინი. როდესაც საზოგადოებრივ მაუწყებელში მივედი, რეიტინგზე ბრძოლა სასაცილოდ არ ყოფნიდათ, რადგან ის ძირითადი ბირთვი, რომელიც მუშაობდა, მიჩვეული იყო იმ რეალობას, რომ ქვეყანას მხოლოდ ერთადერთი ტელევიზია ჰქონდა.

***– რატომ გადაწყვიტეთ, ფაქტობრივად, მკვდარ მუსიკალურ სფეროში ინვესტიციის ჩადება და ვისი ინვესტიციით შეიქმნა „ბრავო რეკორდსი“?***

– ვერ ვიტყვი, რომ ეს სფერო მკვდარია. პირიქით, ვიტყოდი, რომ „ბრავო რეკორდსი“ სწორ დროს შეიქმნა. ეს პირველი მიმართულებაა, რომელიც დასავლურ სტანდარტებზე მუშაობს და საკმაოდ კარგადაა აგებული. დაწყებული ტალანტების შერჩევით, დასრულებული ცოცხალი კონცერტებით და მუსიკალური პროდუქციით, თუმცა ჩვენ დროს გავასწარით.

ახლა, ევროკავშირის ხელშეკრულების თანახმად, მას ვალდებულება აქვს აღებული, საავტორო უფლებებზე მუშაობა გააგრძელოს და ამ მხრივ სამომავლოდ კარგი მომგებიანი სფერო გახდება.

რაც შეეხება ინვესტიციას, გარკვეული ნაწილი მე და ჩემი მეგობრების იყო, ხოლო ნაწილი „თიბისი“ ლიზინგის, რასაც დღემდე ვიხდით.

***– „ბრავო რეკორდსის“ რომელი პროექტია თქვენთვის ყველაზე საამაყო?***

– ძალიან ამაყი ვარ გოგი დოლიძის პროექტით. დოლიძის სიცოცხლეში ნამღერი მოვიპოვეთ და მას ზვიად ბოლქვაძემ სრულიად ახალი არანჟირება გაუკეთა. ვფიქრობ, ეს ფენომენალური ნამუშევარია. ასევე გამოვყოფდი „ქართული ხმებისა“ და „შინის“ ალბომს.

***– დღეს საქართველოში ბიზნესის კეთება მარტივია?***

– ძალიან რთულია, რადგან ბაზარია პატარა, მოსახლეობას ძალიან უჭირს, ინვესტიციები არ შემოდის. ვფიქრობ, სახელმწიფო ძლიერია სამრეწველო და აგრო, ასევე ტურიზმის სფეროებში, ამიტომ მეტი სტიმულირება უნდა იყოს, რომ შემოვიდეს ინვესტიცია. სახელმწიფო წინ უფრო სწრაფად უნდა წავიდეს.

***– თითქმის ყველა მთავრობის პირობებში მნიშვნელოვანი საქმის ხელმძღვანელი იყავით. ყველაზე კომფორტული რომელ მთავრობასთან ურთიერთობა იყო?***

– მე სახელმწიფო სამსახურში ვმუშაობდი შევარდნაძისა და სააკაშვილის პრეზიდენტობის პერიოდში. 2005 წლის შემდგომ შორს ვდგავარ პოლიტიკისგან და ჩემს საქმეს ვაკეთებ.

მეტი დრო შევარდნაძის მთავრობაში დავყავი და იმ პერიოდში ბევრი რამ მოხდა, საზოგადოებრივი ტელევიზია თუ გვაქვს, ეს სწორედ მაშინ ჩამოყალიბდა.

**„კომერსანტი“**

# 13 ათას ლარზე მეტი შემოსავალი 41 დღეში — რა ქონებას ფლობს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ დირექტორი

დედაქალაქში მეტროსადგურები დაკეტილია, ამის მიზეზი კი მეტროს მემანქანეთა გაფიცვაა, რომლებიც ხელფასის ზრდას ითხოვენ.

თბილისის მერის კახა კალაძის განცხადებით კი, მათი ხელფასი 1400-1800 ლარის ფარგლებში მერყეობს, რაც უფრო მეტია, ვიდრე პატრულის თანამშრომლის, სასწრაფოს ბრიგადის თანამშრომლის, მაშველების და მეხანძრეების ხელფასებია.

ამის ფონზე „ბიზნესპრესნიუსი“ დაინტერესდა, თუ რა ანაზღაურება აქვს შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ დირექტორს. 2018 წლის 27 მარტს შევსებული ქონებრივი დეკლარაციის მიხედვით, კომპანიის მოქმედი გენერალური დირექტორის მამუკა კობახიძის შემოსავალი 2017 წლის 21 ნოემბრიდან 31 დეკემბრის პერიოდში 13 333,33 ლარი იყო. რაც შეეხება წლიურ შემოსავალს ამ პოსტზე, ამის გარკვევას „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ ყოფილი დირექტორის ნუგზარ ჭეიშვილის ქონებრივი დეკლარაციიდან შევეცადეთ, თუმცა, მას აღნიშნული ინფორმაცია დეკლარაციაში მითითებული არ აქვს.



რაც შეეხება კომპანიის მოქმედი დირექტორის ქონებრივ მდგომარეობას, დეკლარაციის მიხედვით, ის ფლობს 44, 33 კვადრატული მეტრისა და 100,7 კვ. მეტრი ფართობის ორ ბინას თბილისში. დეკლარაციის შევსების მომენტში მასვე სხვადასხვა საბანკო ანგარიშზე – 533,72 ლარი, 10.177,7 დოლარი, 9.003,09 ლარი, 600,2 დოლარი და 38 ლარი ჰქონდა.

კობახიძე „სატრანსპორტო კომპანიის“ გენერალურ დირექტორობამდე შპს „ყაზტრანსგაზ– თბილისის“ მმართველად და „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის“ დირექტორად მუშაობდა, სადაც შესაბამისად, 167.377,38 ლარისა და 166.988,1 ლარის შემოსავალი აქვს მიღებული. ამასთან, მისმა გასავალმა წინა წელს ქველმოქმედების სახით – 6.000 ლარი შეადგინა.

მამუკა კობახიძეს ჰყავს მეუღლე და ორი შვილი. მისი მეუღლე ფლობს მსუბუქ ავტომობილს – TOYOTA CHR, რომელიც 2017 წელს 55.000 ლარად შეიძინა. მასვე საბანკო ანგარიშებზე – 14.096,14 ლარი, 5.500 დოლარი და 1.772 ლარი ჰქონდა. დეკლარაციის შევსების მომენტში კობახიძის მეუღლე იყო ასევე შპსGONG-ის 30%-იანი წილის მფლობელი, რომლის საქმიანობითაც მისმა შემოსავალმა 35.583,4 ლარი შეადგინა. თამარ ეპიტაშვილი სს „საქრუსენერგოში“ მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე მუშაობს, სადაც მისი შემოსავალი 2017 წლის 3 აპრილიდან 2017 წლის 31 დეკემბრის პერიოდში, 15.652,78 ლარი იყო.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ ქონებრივი დეკლარაციის შევსების მომენტში შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ გენერალური დირექტორის მამუკა კობახიძის შვილებს სხვადასხვა საბანკო ანგარიშზე – 4.345,73 ევრო და 4.346,16 ევრო ჰქონდათ.

**ბპნ**

# მიზეზები, რამაც სამომხმარებლო ფასების გაზრდა გამოიწვია



2018 წლის მაისში წლიური ინფლაციის დონემ 2,5 პროცენტი შეადგინა. სამომხმარებლო ფასები გაზრდილია ხილზე, ზეთზე, თევზეულზე. საქსტატის ინფორმაციით, ფასები გაზრდილია ალკოჰოლურ სასმელებზე, თამბაქოზე. ასევე ელექტროენერგიასა და აირზე.

ბიზნესსამართლის სპეციალისტი აკაკი ჩარგეიშვილი კომერსანტთან საუბრისას აცხადებს, რომ სამომხმარებლო ფასების ზრდაზე წლების განმავლობაში ცალ-ცალკე ბევრი სექტორი მოქმედებს, რაც შემდგომში გროვდება და ერთიანობაში აისახება გაზრდილ ფასებზე, რომელიც საბოლოოდ მომხმარებლის ჯიბეს აზარალებს.

– რამდენიმე წლის წინ ენერგოსექტორში ფასები გაიზარდა. მაშინ ეკონომისტებმა ვთქვით, რომ ამას სამომხმარებლო სფეროში გადანაწილება მოჰყვებოდა და ფასების ზრდის საფუძველი გახდებოდა. იმ პერიოდში სამომხმარებლო პროდუქციაზე ფასების ზრდა დაფიქსირებული არ იყოს, თუმცა, დღეს ზრდა სახეზეა. ელექტროენერგეტიკაში ფასების ზრდა უკავშირდებოდა სექტორის რეაბილიტაციას, რაზეც მილიონობით ლარი იხარჯებოდა. საქართველო სხვადასხვა ქვეყნიდან ყიდულობდა ელექტროენერგიას და შესაბამისად ქვეყნიდან დიდი რაოდენობით აშშ დოლარი გავიდა, რასაც მოჰყვა ელექტროსექტორის გაძვირება. ელექტროენერგეტიკულ სექტორში ფასების ზრდამ შემდგომ გამოიწვია საწვავზე ფასების ზრდა, რაც საბოლოოდ პროდუქტების ფასების ზრდამდე მივიდა, – აცხადებს აკაკი ჩარგეიშვილი.

აკაკი ჩარგეიშვილის თქმით, კიდევ ერთი-ერთი სექტორი, რომელიც მოქმედებს სამომხმარებლო სექტორში ფასების ზრდაზე, აირის ჯგუფია.

– დღევანდელი მდგომარეობითაც კი ბიზნესისთვის ბუნებრივი არის მოხმარების ღირებულება უფრო მაღალია, ვიდრე ჩვეულებრივი მომხმარებლისთვის. ასეთი დამოკიდებულება არასწორია. როდესაც მაღალი ფასი აქვს საცხობებს, წარმოებებს, ის იძულებულია მომხმარებელს მაღალ ფასად მიაწოდოს პროდუქცია. ჩვენ რომ ზრდის დინამიკა ოდნავ მაინც შეგვეჩერებინა, სამართლიანად უნდა მოვქცეულიყავით, თუნდაც ბუნებრივი აირის სექტორში, – განაცხადა აკაკი ჩარგეიშვილმა.

**კომერსანტი**

# ბიზნესსექტორის ბრუნვის მოცულობა 18,6%-ით გაიზარდა და 18,0 მილიარდი ლარი შეადგინა

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ბიზნესსექტორის ბრუნვის მოცულობა 2018 წლის I კვარტალში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 18,6%-ით გაიზარდა და 18,0 მილიარდი ლარი შეადგინა. ზრდის ტენდენციით ხასიათდება ბიზნესსექტორის პროდუქციის გამოშვების მაჩვენებელიც. 2018 წლის I კვარტალში მისი მოცულობა 8,7 მილიარდი ლარით განისაზღვრა, რაც 16,0%-ით აღემატება გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს:



2018 წლის I კვარტალში მთლიანი ბრუნვის 47,5% მოდის მსხვილ ბიზნესზე, 21,4% – საშუალო, ხოლო 31,1% – მცირე ბიზნესზე ნაწილდება.

მცირედით განსხვავებული მდგომარეობაა პროდუქციის მთლიანი გამოშვების შემთხვევაში: მსხვილ ბიზნესზე მოდის პროდუქციის გამოშვების 43,5%, საშუალოზე – 24,9%, ხოლო მცირე ბიზნესზე – 31,6%.

საქსტატის ინფორმაციით, საწარმოთა მიერ განხორციელებულმა საქონლისა და მომსახურების მთლიანმა ყიდვებმა 2018 წლის I კვარტალში 12,7 მლრდ ლარი (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 16,4%-ით მეტი), ხოლო გადასაყიდად განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების ყიდვებმა 8,3 მლრდ ლარი შეადგინა (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 18,3%-ით მეტი). 2018 წლის I კვარტალში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 637,0 ათასი კაცით განისაზღვრა, რაც გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს 5,3%-ით აღემატება. დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობიდან 40,6% ქალია, ხოლო 59,4% – კაცი.

**კომერსანტი**

# ძარცვაში ბრალდებულს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა



სასამართლომ ძარცვაში ბრალდებულს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2017 წლის 10 სექტემბერს, ღამის საათებში, ქურდობისთვის ნასამართლევი მ.ჩ. ქ.თბილისში, სოფიკო ჭიაურელის სახელობის სკვერში, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით აშკარად დაეუფლა უცხო ქვეყნის მოქალაქე ა.ბ.-ს კუთვნილ საფულეს, მასში მოთავსებული თანხით და პლასტიკური ბარათებით, სვოჩის და ბოსის ფირმის მაჯის საათებს და სამსუნგის ფირმის მობილურ ტელეფონს.

მ.ჩ.-ს ქმედებით დაზარალებულს 1.350 ლარის ოდენობის ქონებრივი ზიანი მიადგა.

სამართალდამცველებმა მ.ჩ. იმავე დღეს დააკავეს. მას ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ და მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ძარცვა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ჩადენილი არაერთგზის) წარედგინა და აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა პატიმრობა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ მ.ჩ. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 6 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

# სასამართლომ მამის მიმართ ჩადენილ ძალადობაში ბრალდებული დამნაშავედ ცნო



საჩხერის რაიონულმა სასამართლომ გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და მამის მიმართ ჩადენილ ძალადობაში ბრალდებული, წარსულში ნასამართლევი ა.ხ. დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1261-ე მუხლის მეორე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით.

სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2018 წლის 28 თებერვალს, დაახლოებით 20:00 საათზე, საჩხერის მუნიციპალიტეტში, მთვრალ მდგომარეობაში მყოფმა, ოჯახური ძალადობისთვის ნასამართლევმა ა.ხ-მ მამამისს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, სახეში ხელი გაარტყა და მაკრატლით ზურგის არეში მიაყენა დაზიანება. ა.ხ-ს ქმედებით დაზარალებულმა ფიზიკური ტკივილი განიცადა და სხეულის მსუბუქი ხარისხის დაზიანება მიიღო.

სამართალდამცველებმა ა.ხ. იმავე დღეს დააკავეს. მას ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 1261-ე მუხლის მეორე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით (ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, რამაც ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, ჩადენილი არაერთგზის) წარედგინა და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

საჩხერის რაიონულმა სასამართლომ ა.ხ. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 2 წლით და 1 თვით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

# სროლა მუხრანში — 25 წლის მამაკაცს ფეხი მოკვეთეს




უკიდურესად მძიმეა 25 წლის ახალგაზრდა მამაკაცის, გიორგი ძმაორაშვილის, მდგომარეობა, რომელიც მუხრანში ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრეს. როგორც „ნიუპოსტს“ თვითმხილველები უყვებიან, მამაკაცს ფეხის ამპუტაცია დასჭირდა.

– მდგომარეობა კრიტიკულად მძიმეა, ბიჭს თავდაპირველად ფეხი მოკვეთეს, ექიმები დამაიმედებელს არაფერს ამბობენ, წნევასაც ვერ ურეგულირებენ, – აცხადებს დაჭრილის ახლობელი.

სისხლიან გარჩევას წინ ქუჩური გარჩევა უძღოდა. დაჭრილი და ბრალდებული, რომელსაც პოლიცია ამ დრომდე ეძებს, მეზობლები არიან.

გიორგი ძმაორაშვილის ახლობელი, რომელმაც ვინაობის გასაჯაროება არ ისურვა, „ნიუპოსტთან“ ამბობს, რომ ბრალდებულს დაჭრილის მეგობართან მოუვიდა უთანხმოება, რის შემდეგაც ძმაორაშვილის მეგობრებმა ის გარჩევაზე დაიბარეს, ამ უკანასკნელმა კი გიორგი ძმაორაშვილი ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით დაჭრა და მიიმალა.

– ყველაფერი მომხდარის წინა დღეს განვითარებული მოვლენებით დაიწყო, როცა ბრალდებულმა, ვინმე გუკამ, ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა გიორგის სამეგობროს, რის შემდეგაც მოხდა აღნიშნული გარჩევა, უთქვამს, შემეშვით, თორემ გესვრითო, ამის შემდეგ დაჭრა გიორგი და მიიმალა, – აცხადებს დაჭრილის ახლობელი.

ბრალდებულს მუხრანში უარყოფითად ახასიათებენ და ამბობენ იმასაც, რომ სოფელში კრიმინალურმა შემთხვევებმა საგრძნობლად იმატა.

– წლების წინ სასაფლაოზე ადამიანი აწამა, – აცხადებენ ადგილობრივები.

# დოლიძის ქუჩაზე მაღაზიის კონსულტანტი გოგონა დაჭრეს




თბილისში, დოლიძის ქუჩაზე მაღაზიის კონსულტანტი დაიჭრა.

თვითმხილველების თქმით, შუახნის მამაკაცმა, გაუგებარი მიზეზის გამო, იარაღიდან გაისროლა და ანასხლეტი ახალგაზრდა გოგოს ფეხში მოხვდა.

მამაკაცი ჯერ მაღაზიის თანამშრომლებმა დააკავეს, რის შემდეგაც პოლიცია გამოიძახეს.

მომხდარზე გამოძიება სსკ-ის 236-ე და 239-ე მუხლებით დაიწყო, რაც ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარებას და ხულიგნობას გულისხმობს.

# „დავით სარალიძეს მარჯვნიდან და უკნიდან გიორგი მენაბდე ურტყამდა, მის მარცხნივ კი მირზა სუბელიანის ნათესავი, მიხეილ კალანდია იყო“

## ხორავაზე მკვლელობის ახალი დეტალები



ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის საქმეზე მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ საქმის ახალი დეტალები გახდა ცნობილი. ერთ-ერთი ბრალდებული არასრულწლოვანი ჩვენებით ირკვევა, რომ ჩხუბში მათ გარდა, მინიმუმ, ორი ახალგაზრდა მონაწილეობა.

მისი თქმით, მან დაინახა, რომ დავით სარალიძე სხვა ბრალდებულს სცემდა, მაგრამ სარალიძეს მარჯვნიდან და უკნიდან გიორგი მენაბდე ურტყამდა, რომელსაც ხელში ვერცხლისფერი საგანი ეჭირა, მოკლული სარალიძის მარცხნივ კი პროკურატურის ყოფილი მაღალჩინოსნის, მირზა სუბელიანის ნათესავი – მიხეილ კალანდია იყო.

გაირკვა, რომ გიორგი მენაბდე სასულიერო პირის, შიო მენაბდის შვილია. ბრალდებულის ჩვენების მიხედვით, გიორგი მენაბდე დავით სარალიძეს რაღაც საგანს ურტყამდა. მისი ადვოკატის თქმით, მენაბდემ პროკურატურას ოთხჯერ მისცა ჩვენება, თუმცა განაჩენის გამოცხადების შემდეგ შსს-ში განახლებული ძიების ფარგლებში არ დაუკითხავთ.

ლევან დადუნაშვილს 2 ჭრილობა ჰქონდა, 1 სასიკვდილო, დავით სარალიძეს 12 ჭრილობა აქვს მიყენებული, მათ შორის რამდენიმე სასიკვდილო.

მოკლული დავით სარალიძის მამა გამოძიებას, თავდაპირველად, ნდობას უცხადებდა, თუმცა მოგვიანებით ეჭვი გაჩნდა, რომ შესაძლოა, დამნაშავე იმაზე მეტი ყოფილიყო, ვიდრე სამართალდამცველები ამბობდნენ.

გაირკვა, რომ ჩხუბის ერთ-ერთი მონაწილის მამა მირზა სუბელიანი იყო, რომელიც მომხდარიდან მეოთხე დღეს საკუთარი განცხადების საფუძველზე სამსახურიდან გათავისუფლდა.

პროკურორი ზვიად ფხაკაძე ამბობდა, რომ საქმეში ორზე მეტი იარაღი არ ფიგურირებდა.

ზაზა სარალიძეს ეჭვები, რომ გამოძიება ხარვეზებით მიმდინარეობდა, თანდათან გაუღრმავდა.

17 თებერვალს გამოქვეყნდა ფარული აუდიოჩანაწერი, სადაც საქმის მოწმე რამდენიმე მოზარდი ყვებოდა, რომ ჩვენების შეცვლის სანაცვლოდ, ერთ-ერთი მოზარდის ბაბუა მათ სოლიდურ თანხას სთავაზობდა. გაჩნდა ეჭვი, რომ ბაბუა ყოფილი დეპუტატი, ბორის კაკუბავა იყო. სისხლიან გარჩევაში მისი ორი შვილიშვილი მონაწილეობდა – მიხეილ კალანდია და მირზა სუბელიანის შვილი.

მიხეილ კალანდიამ გამოძიებისთვის მიცემული ჩვენება რამდენჯერმე შეცვალა. ადვოკატების ვარაუდით, მას ჩვენებებს ბიძა, მირზა სუბელიანი აცვლევინებდა.

ზაზა სარალიძემ საქმეში დამოუკიდებელი ექსპერტი ჩართო. მაია ნიკოლეიშვილის დასკვნით, სარალიძეს სასიკვდილო ჭრილობები გამოძიების მიერ ამოღებული ორი დანის გარდა, სხვა საგნითაც ჰქონდა მიყენებული.

# მირზა სუბელიანი: „მე დასაცავი არაფერი მაქვს, პირველად ჩემი შვილი დაიკითხა, ჩემი ქვისლი დაპატიმრებულია“



– საქართველოში ვარ, არსად გავსულვარ და არც ოჯახი გამიყვანია. მზად ვარ თანამშრომლობისთვის, – ამის შესახებ პირველ არხს პროკურატურის ყოფილმა თანამშრომელმა და ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის საქმის ერთ-ერთი მოწმის მამამ, მირზა სუბელიანმა განუცხადა.

მირზა სუბელიანის თქმით, მზად არის, ნებისმიერ შეკითხვას პასუხი გასცეს.

– გამოკითხვაზე ვიმყოფებოდი შსს-ში. შესაბამის დეტალებს ვერ გავახმაურებ, მაგრამ მიდის გამოძიება. რაც შეეხება იმ კითხვებს, რომლებიც არის ჩემ მიმართ, მზად ვარ, ვუპასუხო აბსოლუტურად ყველა შეკითხვას, ეს საპარლამენტო კომისიის ფორმატში იქნება, საგამოძიებო კომისიის ფორმატში თუ სხვა ფორმატში, – განაცხადა სუბელიანმა.

სუბელიანი ამბობს, რომ ხორავას ქუჩაზე მოკლული ერთ-ერთი არასრულწლოვნის მამის, ზაზა სარალიძის ბრალდებას მტკიცებულებების გაყალბებასთან დაკავშირებით ვერ უპასუხებს და აცხადებს, რომ ეს გამოძიების პრეროგატივაა.

ამასთან, სუბელიანი პარლამენტთან არაერთხელ გაჟღერებულ ბრალდებებს პასუხობს, რომლებიც ვანო მერაბიშვილის საკნიდან გაყვანას ეხება. ყოფილი პროკურორის თქმით, მერაბიშვილი საკნიდან არ გაუყვანიათ.

– ამ შეკითხვაზე მე ვერ გაგცემთ პასუხს, ეს გამოძიების პრეროგატივაა. შესაბამისად, გამოძიება მიდის და თუ რამე კითხვის ნიშნები იარსებებს ჩემ მიმართ, მზად ვარ პასუხი გავცე. ვერ შევალ საქმის განხილვაში, ვერც ვერავის დავადანაშაულებ და ვერც საკუთარი თავის დაცვას დავიწყებ, მე დასაცავი არაფერი მაქვს. არანაირ კადრებზე, არანაირ მერაბიშვილის საკნიდან გაყვანაზე საუბარი ჩემთან არ ყოფილა და ფიზიკურად ეს ვერ იქნებოდა და, შესაბამისად, დასკვნა ვანო მერაბიშვილის საკნიდან გაყვანის თაობაზე, რომ ეს არ დადასტურდა, კიდევ ერთხელ ვამბობ, ეს არის დასკვნა დაწერილი ჩემ მიერ. შესაბამისად, ფაქტი იმისა, რომ მერაბიშვილის საკნიდან გაყვანა მოხდა, ესეთი არ მომხდარა. მე შემიძლია ეს დაგიდასტუროთ, – განაცხადა სუბელიანმა.

მირზა სუბელიანმა ასევე დაადასტურა ინფორმაცია, რომ ხორავას ქუჩაზე მკვლელობის დღეს კალანდიების ოჯახში იმყოფებოდა.

– ეს სისხლის სამართლის საქმის მასალებს ერთვის, შესაბამისად, ამ მიმართულებით არის შეკითხვები და ამ მიმართულებით ამომწურავ პასუხს მე გავცემ გამოძიებას. ვადასტურებ, რომ მივედი ჩემს შვილთან, წამოვიყვანე და გამოვაცხადე სამართალდამცავ ორგანოში. პირველად ჩემი შვილი დაიკითხა. რაც შეეხება დანარჩენ ფაქტებს, მტკიცებულების განადგურებებს, როგორც თქვენთვის ცნობილია, ჩემი ქვისლი ამჟამად დაპატიმრებულია, ზის, ორი ბავშვი პასუხისგებაშია მიცემული და ეს არის ჩემი კომენტარი. დანარჩენი, გამოძიების დეტალებში, მოარულ ჭორებში რა და როგორ ვრცელდება, მე პასუხს ვერ გაგცემთ. ეს არის სამართალდამცავი ორგანოების პრეროგატივა, – განაცხადა მირზა სუბელიანმა.

# ანა ნაცვლიშვილის მკვლელობის სასამართლო დაიხურა



გუშინ, 4 ივნისს, თემქაზე 20 წლის ანა ნაცვლიშვილის მკვლელობასთან დაკავშირებული წინასასამართლო სხდომა დაიხურა.

მოსამართლე ქეთევან ჯაჭვაძემ ბრალდების მხარის შუამდგომლობა წინასასამართლო სხდომის დახურვასთან დაკავშირებით დააკმაყოფილა. როგორც მან განმარტა, ამის მიზეზი ის პირადი ხასიათის ინფორმაციაა, რომელიც საქმეშია.

შეგახსენებთ, რომ თემქაზე 20 წლის ანა ნაცვლიშვილი 22 თებერვალს მოკლეს. მას ყელის არეში დანით რამდენიმე ჭრილობა აქვს მიყენებული და ასევე დაზიანებები აღენიშნებოდა თავის არეში. პოლიციამ ნაცვლიშვილის მკვლელობის ბრალდებით ლადო გრიგალაშვილი მომხდარიდან მეორე დღეს დააკავა.

ლადო გრიგალაშვილის ადვოკატის თქმით, მიყენებული ჭრილობებიდან არც ერთი ემთხვევა დანას, რომელიც ნივთმტკიცებად ამოიღეს.

ნაირა ოტიაშვილის თქმით, წინასასამართლო სხდომაზე მოსამართლემ სრულად დაუშვა ბრალდებისა და დაცვის მხარის მტკიცებულებები.

– სასამართლომ დღეს სრულად დაუშვა დაცვის მხარის მტკიცებულებები განსახილველად, ასევე სრულად დაუშვა ბრალდების მხარის მტკიცებულებები. მიმაჩნია, რომ ეს ალბათ ასეა საჭირო, ვინაიდან სრულყოფილი და ობიექტური გამოკვლევა მოცემულ შემთხვევაში აუცილებელია თვითონ ბრალდების ხასიათიდან და სიმძიმიდან გამომდინარე, – განაცხადა ნაირა ოტიაშვილმა.

ნაირა ოტიაშვილი კონკრეტულ მტკიცებულებებზე არ საუბრობს, თუმცა აღნიშნავს, რომ მტკიცებულებების მოცულობითი ნუსხა ჰქონდა.

მისივე თქმით, დანით მიყენებული ჭრილობების ზომა არ ემთხვევა იმ დანას, რაც ნივთმტკიცებად არის ამოღებული.

– 33 ჭრილობიდან ყველა დანით არაა მიყენებული. არც ერთი არ ემთხვევა ამ დანის ზომებს, – განაცხადა ნაირა ოტიაშვილმა.

რაც შეეხება ჟურნალისტის კითხვას, თუ რატომ აღიარა ლადო გრიგალაშვილმა საწყის ეტაპზე დანაშაული, ნაირა ოტიაშვილმა აღნიშნა, რომ ეს აღიარება არ იყო. მისი თქმით, ლადო გრიგალაშვილს მამამისის მანქანიდან ამოღებული დანის შესახებ ჯერ კიდევ მაშინ უთხრეს, სანამ დანას ამოიღებდნენ და ფარული ჩანაწერით ჩანს, რომ დანის ამოღების შესახებ ლადო გრიგალაშვილმა იცის.

ადვოკატის ინფორმაციით, ბრალდებული დუმილის უფლებას იყენებს, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის ჩვენებას არ მისცემს.

## პოლონეთსა და ბალტიისპირეთში ნატოს სამხედრო სწავლებები დაიწყო



პოლონეთსა და ბალტიისპირეთში ნატოს სამხედრო სწავლება „დარტყმა ხმლით“ დაიწყო. მასში 18.000 სამხედრო მონაწილეობს.

სწავლებები მიმდინარეობს როგორც პოლონეთის, აგრეთვე ლატვიის, ლიტვის და ესტონეთის ტერიტორიებზე.

– ჩვენი სწავლება წარმოადგენს პასუხს რუსეთის აგრესიულ პოლიტიკაზე, – ამბობს ლიტვის პრეზიდენტი დალია გრიბაუსკაიტე.

## პეტრო პოროშენკო ესპანეთში ჩავიდა



უკრაინის პრეზიდენტი პეტრო პოროშენკო ორდღიანი ოფიციალური ვიზიტით ესპანეთს ესტუმრა. ის პრემიერ სანჩესს, აგრეთვე მეფე ფერდინანდს შეხვდა.

ესპანეთის ახალმა პრემიერმა უკრაინის დამოუკიდებლობას და ტერიტორიულ მთლიანობას მხარდაჭერა გამოუცხადა. სანჩესმა ხაზი გაუსვა, რომ რუსეთის მიმართ სანქციები უნდა გამკაცრდეს.

– სანქციების გამკაცრება აუცილებელია, – თქვა სანჩესმა.

## ბერლინი: სროლა კათედრალურ ტაძარში




ბერლინის კათედრალურ ტაძარში სისხლიანი ინციდენტი მოხდა. ნასვამმა მამაკაცმა ტაძარში ჩხუბი ატეხა. გამოიძახეს პოლიცია. მიუხედავად ამისა, დებოშიორის დაშოშმინება ვერ მოხერხდა. პოლიციელი იძულებული გახდა, მისთვის ფეხში ესროლა. მამაკაცი დაიჭრა.

პოლიციამ ტაძარს ალყა შემოარტყა. დაჭრილი ხულიგანი იქიდან გაიყვანეს. მომხდარის გამო აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. მიმდინარეობს გამოძიება.

## ასადი ჩრდილოეთ კორეაში ჩასვლას აპირებს



სირიის დიქტატორმა ბასარ ასადმა განაცხადა, რომ სურს, ჩრდილოეთ კორეას ესტუმროს.

– კიმ ჩენ ინით აღფრთოვანებული ვარ! მსურს, რომ ჩვენ პარტნიორები გავხდეთ, მით უმეტეს, რომ აშშ-ის სახით საერთო მტერი გვყავს, – ამბობს ასადი.

კიმ ჩენ ინი 12 ივნისს სინგაპურში აშშ-ის პრეზიდენტ ტრამპს ხვდება, რომლის შეხედულება ასადზე შემდეგია:

– ასადი ცხოველია! ასეთი კაცის პარტნიორობა სირცხვილია!

## ლავროვი ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრს შეხვდა



რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ლავროვი თავის ჩინელ კოლეგას ვან ი-ს შეხვდა. საუბარი ჩრდილოეთ კორეის პრობლემის გარშემო წარიმართა.

– რუსეთი მზადაა, ჩინეთს დაეხმაროს ჩრდილოეთ კორეის დენუკლეარიზაციაში, – თქვა ლავროვმა.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჟურნალისტებთან საუბარში აღნიშნა, რომ მალე ვლადიმერ პუტინი ჩინეთს ოფიციალური ვიზიტით ეწვევა.

– ჩვენ ამ ვიზიტის მომზადების დეტალები განვიხილეთ, – ამბობს ლავროვი.

## ქაბულში ტერაქტს 8 ადამიანი ემსხვერპლა



ქაბულის პოლიტექნიკურ უნივერსიტეტთან აფეთქება მოხდა.

უნივერსიტეტში ავღანეთის წამყვანი ღვთისმეტყველი მეცნიერები იყვნენ შეკრებილები.

ასაფეთქებელი მოწყობილობა თვითმკვლელმა ტერორისტმა განახორციელა, რის შედეგადაც დაიღუპა სულ მცირე 8 ადამიანი.

თვითმხილველთა ინფორმაციით, აფეთქება იმ დროს მოხდა, როდესაც ღვთისმეტყველები შენობას ტოვებდნენ.

აღსანიშნავია, რომ ყრილობაზე ღვთისმეტყველებმა გამოსცეს ფატვა (რელიგიური ბრძანებულება), რომელშიც ქვეყანაში მიმდინარე კონფლიქტი დაგმეს.

## გვატემალაში ვულკან „ფუეგოს“ ამოფრქვევის შედეგად 25 ადამიანი დაიღუპა



გვატემალაში ვულკან „ფუეგოს“ ამოფრქვევის შედეგად 25 ადამიანი დაიღუპა. ამის შესახებ ინფორმაციას გვატემალას საგანგებო სიტუაციების სამსახური ავრცელებს.

როგორც ადგილობრივი ტელეარხი აღნიშნავს, 653 ადამიანი დროებით თავშესაფრებშია განთავსებული.



აღნიშნული ვულკანის ამოფრქვევა ერთ-ერთი ყველაზე ძლიერია, რაც კი ბოლო წლების განმავლობაში მომხდარა.

გვატემალას ხელისუფლებამ განგაშის წითელი დონე გამოაცხადა ქვეყნის რამდენიმე რაიონში. დახურულია დედაქალაქის საერთაშორისო აეროპორტი „აურორა“.

– ისრაელი გვატემალას დახმარებას აღმოუჩენს, – განაცხადა ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა ემანუელ ნახშონმა.

„გვატემალაში ვულკანის ამოფრქვევასთან დაკავშირებით საგარეო საქმეთა სამინისტრო დაუყოვნებლივ გამოყოფს საგანგებო დახმარებას ათი ათასი დოლარის ოდენობით დაზარალებულებისთვის პირველადი მოხმარების ნივთების, მათ შორის მედიკამენტების, საკვებისა და საბნების შესაძენად“ – დაწერა ნახშონმა „ტვიტერის“ საკუთარ გვერდზე.




– შეშფოთებით ვადევნებთ თვალს გვატემალაში „ფუეგოს“ ვულკანის ამოფრქვევას. თანაგრძნობას ვუცხადებთ დაღუპულთა ოჯახებს, – აღნიშნა ნახშონმა.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*


**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**



## განცხადებები

**სხვადასხვა**

● დიდი გამოცდილების მქონე შპს მოგიგვარებთ ქვეწარმავლების, მღრღნელების, მწერების პრობლემას, ჩაგიტარებთ სადეზინფექციო სამუშაოებს. ტელ: 551-54-84-54; 599-74-04-51.

● სილამაზის სალონს ესაჭიროება გამოცდილი ქალის სტილისტი, მანიკური/პედიკურის სპეციალისტი და კოსმეტოლოგი. მის. ბორჯომის ქ. 6 (დეზერტირების ბაზართან). ტელ: 597050903; 558153660.

● სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულსისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების თავიდან აცილება, ნერვული სისტემის და ღვიძლის პრობლემების ნორმალიზება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან. უკუჩვენების გარეშე. საუკეთესო შედეგით, ტელ: 599-25-44-14 ექიმი მზია, 218-48-99 (სამსახ.). მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● პოტენციის დაქვეითებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციების ნორმალიზება, პროსტატის ჯირკვლისა და შარდვის პროცესების მოწესრიგება, ბაქტერიულ-სოკოვან ინფექციათა საწინააღმდეგო მოქმედება იმუნიტეტის გაძლიერებით, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან უჯრედულ დონეზე. უკუჩვენების გარეშე. საუკეთესო შედეგით. ტელ: 595-293-299; 218-46-08 (სამსახ.) ექიმი ინგა. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-5 სმ-ის მომატებით ძვლის მკვებავი მინერალებისა და ვიტამინების ნაკრებით+ვარჯიშები. ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც, ასევე გახდომა 5-15 კგ თვეში რაციონის შეუცვლელად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, სწრაფად და ეფექტურად. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (სამსახ). ექიმი სალომე. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● ძვლის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება – კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ართრიტის დროს. დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის ნორმალიზება მცენარეული საშუალებებით, საუკეთესო შედეგით. ტკივილისა და შებოჭილობის სინდრომის შემცირება უკუჩვენების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (სამსახ). ექიმი სალომე. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

# ეროვნული გუნდი ლუქსემბურგისთვის ემზადება

საქართველოს ეროვნულმა საფეხბურთო ნაკრებმა ავსტრიიდან ლუქსემბურგში გადაინაცვლა. ვლადიმირ ვაისის გუნდმა რამდენიმე ვარჯიშის გამართვა მოასწრო. საწვრთნელი პროცესი ადგილობრივი საფეხბურთო კლუბის, რასინგის მოედანზე წარიმართა.

საკლუბო მატჩების შემდეგ, ეროვნულ გუნდს ჯაბა კანკავა და ოთარ კაკაბაძე შეუერთდნენ.

**ოთარ კაკაბაძე:**

– საწვრთნელი შეკრების ბოლო ამხანაგური მატჩისთვის ვემზადებით, ამაღლებული განწყობა გვაქვს და გამარჯვებას ვგეგმავთ. მნიშვნელოვანი საკლუბო მატჩების გამო, პირველ თამაშში არ მიმიღია მონაწილეობა, უკვე ნაკრებთან ერთად ვარ და ლუქსემბურგთან მატჩისთვის სრულად მობილიზებული ვარ.

საქართველოს ნაკრები წლის მეოთხე ამხანაგურ შეხვედრას ლუქსემბურგის წინააღმდეგ 5 ივნისს ჩაატარებს.

ლუქსემბურგელებს სანაკრებო დონეზე 2001 წლიდან ვიცნობთ და აქამდე სამჯერ გვითამაშია – სამჯერვე სტუმრად. 2 მოგება, 1 ფრე – ასეთია ბალანსი ჩვენს სასარგებლოდ. ბურთების შეფარდება – 5:1.

პირველი შეხვედრა მონერიხში, ნუვოს სტადიონზე 2001 წელს შედგა და იოლად, 3:0 მოვიგეთ. ალექსანდრე ჩივაძის გაწვრთნილებიდან დუბლი გიორგი დემეტრაძემ შეასრულა, ერთხელაც თავი რატი ალექსიძემ გამოიჩინა. დემეტრაძემ თავის გოლებს შორის პენალტიც გაიცუდა.

საქართველოს ნაკრებს ძალიან ბევრ უსახურ გუნდთან დაუსრულებია მატჩი ცუდი შედეგით და ლუქსემბურგიც მათ შორისაა. 2007 წლის 22 აგვისტოს, ხვალინდელი მატჩის ალაგას, ლიოტცებერგში, ჟოზი ბარტელზე, კლაუს ტოპმიოლერის ხელმძღვანელობით მოასპარეზე ჩვენი ეროვნული გუნდი უგოლო ფრეს დასჯერდა. თან რა ნაკრებით? ქვემოთ მოცემულია და ნახავთ...

მესამე მატჩი 2012 წელს თემურ ქეცბაიას ხელმძღვანელობით ვითამაშეთ დიფერანჟში და 2:1 მოვიგეთ. ანგარიში ლევან მჭედლიძემ გახსნა, მე-14 წუთზე გურამ კაშია გაგვიძევეს, მაგრამ ალექსანდრე ამისულაშვილმა ჩვენების უპირატესობა გაზარდა. მატჩის მიწურულს კი აურელიენ იოაჰიმმა პენალტით სხვაობა შეამცირა.

საქართველოს ნაკრები ლუქსემბურგთან სათამაშოდ ასეთი შემადგენლობით ემზადება:

**მეკარეები:** გიორგი მაკარიძე (რიუ ავე, პორტუგალია), როინ კვასხვაძე (ტორპედო), ზაურ მახარაძე (ზორია, უკრაინა);

**მცველები:** გურამ კაშია (ვიტესი, ჰოლანდია), ლევან გეგეჭკორი (რუსთავი), დავით ხოჭოლავა (შახტარი, უკრაინა), ლაშა დვალი (პოგონი, პოლონეთი), გიორგი ნავალოვსკი (სკა-ენერგია, რუსეთი), ლაშა შერგელაშვილი (რიგასი, ლატვია), ლევან ხარაბაძე (დინამო თბ), ოთარ კაკაბაძე (ხიმნასტიკი,ესპანეთი);

**ნახევარმცველები:** ჯაბა კანკავა, (ტობოლი, ყაზახეთი), გიორგი აბურჯანია (სევილია, ესპანეთი), ოთარ კიტეიშვილი (დინამო თბ), ვაკო გვილია (ლუცერნი, შვეიცარია), ბექა ვაჩიბერაძე (რიგასი, ლატვია), საბა ლობჟანიძე (რანდერსი, დანია), გიორგი ბერიძე (ტრენჩინი, სლოვაკეთი), ვახტანგ ჭანტურიშვილი (სპარტაკი, სლოვაკეთი), გიორგი ხარაიშვილი (გიოტებორგი, შვედეთი), ჯაბა ჯიღაური (ორდაბასი, ყაზახეთი);

**თავდამსხმელები:** ნიკა კაჭარავა (კორონა, პოლონეთი), ბუდუ ზივზივაძე (დინამო თბ).

ლუქსემბურგისა და საქართველოს საფეხბურთო დაპირისპირება 5 ივნისს, 22:00 საათზე დაიწყება.



# უმცროსი ბორჯღალოსნები საფრანგეთსაც მაგრად დაუდგნენ

## საქართველო–საფრანგეთი 12:24

უმცროსმა ბორჯღალოსნებმა საფრანგეთში მიმდინარე მსოფლიო რაგბის 20-წლამდელთა ჩემპიონატის მეორე ტურში, მასპინძელთა ნაკრებს დიდი ბრძოლა გაუმართეს და კიდევ ერთხელ აჩვენეს, რომ მათთან იოლ მოგებას არავინ უნდა ელოდოს.




ილია მაისურაძემ, ლადო კილასონიამ და ზურაბ ამონაშვილმა, 4 დღის წინ სამხრეთ აფრიკასთან ნაბრძოლ სასტარტო შემადგენლობაში 7 ცვლილება განახორციელეს და ამ ბიჭებმა დაამტკიცეს, რომ ჩვენი გუნდის 28-კაციანი შემადგენლობა თანაბარძალოვანია. საქართველოს ნაკრები საფრანგეთთან 13 წუთის განმავლობაში ლიდერობდა და ტურნირზე კიდევ ერთი ბონუს-ქულის აღების შანსს ბოლომდე ინარჩუნებდა.

შარშანდელი 20-წლამდელთა ჩემპიონატის ჯგუფურ ეტაპზე, ფრანგებმა უმცროს ბორჯღალოსნებს ავჭალაზე 8 ლელო გაუტანეს და 54:0 იმარჯვეს, ერთი წლის თავზე კი, ფრანგულ ბეზიეში მათ მხოლოდ 3 ლელო მიითვალეს და დაგეგმილი ბონუსის გარეშე დარჩნენ.

თამაში მასპინძლების შეტევებით, მაღალ ტემპში დაიწყო და მართალია ლელოს დაცვა მოვახერხეთ, მაგრამ მე-9 წუთზე ჩვენს 22-ში დავჯარიმდით და ჯარიმა მივიღეთ. განახლდა თუ არა თამაში, ქართველმა მორაგბეებმა ბურთი მოიპოვეს და გელა აფრასიძემ 22-ის ხაზამდე ირბინა. შეტევა მაღალ ტემპში, მიმართულებების ცვლით გაგრძელდა, გიორგი ნუცუბიძემ, თენგიზ ზამთარაძემ, გიორგი წიკლაურმა და დემე თაფლაძემ ყველა ჯერზე მოახერხეს უპირატესობის ხაზის გადაკვეთა. სულ ბოლოს კარის წინ წარმოქმნილი რაქიდან თორნიკე ჯალაღონიამ თავად შეუტია და ბურთი ძელებშუა დაამიწა, ხოლო აფრასიძემ გარდასახა – 7:3.

გაშვებული ლელოს შემდეგ ფრანგებმა ბურთზე კონტროლი დაიბრუნეს და განუწყვეტლივ უტიეს. უმცროსი ბორჯღალოსნები თავს კარგად იცავდნენ და ხაზიც სწრაფად ეწყობოდა, მაგრამ ლავაუს ორიგინალური გადაწყვეტილების შემდეგ, ლელო მაინც გავიდა, გარდასახვაც ზუსტი იყო და 25-ე წუთზე მასპინძლებმა 3-ქულიანი ლიდერობა დაიბრუნეს.

მეტოქემ წნეხი გააძლიერა, თუმცა საქართველოს ნაკრების დაცვას გასაღებს კვლავ ვერ უძებნიდა. 34-ე წუთზე სიტუაცია გართულდა, როდესაც რეფერიმ სანდრო მამამთავრიშვილი გაასინბინა. ტაიმის ბოლოს თედო აბჟანდაძემ თამამი გადაწყვეტილება მიიღო და ჩვენი ლელოდან ხელდახელ შეუტია. მას კარგად მიყვა ოთარ ძაგნიძე და აფრასიძე, რომელმაც ფეხით კიდევ უფრო დიდი მანძილი და საკმარისი დრო მოიგო. ტაიმის დასრულებამდე ალარაფერი რჩებოდა, მაგრამ მეტოქემ მეტობის გამოყენება მაინც მოახერხა და მეორე ტაიმს 10-ქულიანი უპირატესობით შეხვდა – 17:7.

მეორე ტაიმის დასაწყისში აფრასიძემ ჯარიმის გატანა 60 მეტრიდან სცადა. ბურთი ძელებშუა მიფრინავდა, თუმცა დარტყმას ძალა დააკლდა. ამას კვლავ ფრანგთა მასირებული შეტევები მოყვა და 55-ე წუთზე მესამე გარდასახული ლელო გავიდა.

დასკვნით 20 წუთში თანაბარი ბრძოლა გაჩაღდა და 69-ე წუთზე ქართველებმა ფრანგებს მეორე ლელო გაუტანეს. მეტოქე მათსავე 22-ში, 5-მეტრიან წყვეტილთან შევავიწროვეთ და შეცდომა დავაშვებინეთ, მიხეილ ალანიამ ბურთი მარცხნივ გაიტანა, ლუკა დვალიშვილმა მცირედი ყოვნით ფრანგთა დაცვის ხაზი გატეხა და ძაგნიძე ლელოში მარცხნიდან შევიდა. გარდასახვა არაზუსტი იყო, ბონუსის ასაღებად დასკვნით 10 წუთში ლელოზე უნდა გვეთამაშა. სამწუხაროდ, ანგარიში აღარ შეცვლილა და მასპინძელმა საფრანგეთმა 24:12 იმარჯვა.

უმცროსი ბორჯღალოსნები ჯგუფური ეტაპის დასკვნით მატჩს 7 ივნისს ნარბონში, ირლანდიასთან გამართავენ. შეხვედრა საქართველოს დროით 20:30 საათზე დაიწყება.

# ახალგაზრდულმა ნაკრებმა უელსთან ფრედ ითამაშა

**საქართველო-უელსი 2:2**

**თბილისი.** მიხეილ მესხი

1:0 მიქელთაძე (12), 1:1 მორელი (31პ), 1:2 ჰარისი (35), 2:2 მიქელთაძე (87პ)

**საქართველო:** ჩოჩიშვილი, კობოური, გიორგაძე (ალთუნაშვილი), მარგველაშვილი (ჭიჭინაძე), მაჭარაშვილი (ძებნიაური), ცეცხლაძე, ლაკვეხელიანი, ჩაბრაძე (შულაია), კოხრეიძე (გოშთელიანი), მიქელთაძე, არველაძე (ბუღრიძე)

**უელსი:** ევანსი, კოქსი (ლუისი), ნორინგტონი, ფული, როდონი, ჰარისი, მორიელი (მატონდო), ჰარისი, ჯეიმსი (გულენი), ბაბოსი, კრისტი-დევისი (ბროდჰედი)

**გაძევება:** ჰარისი(86)

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები პირველ ამხანაგურ მატჩში უელსს 2:2 დაუზავდა და მეორე მატჩს 6 ივნისს გამართავენ.

მატჩი სანახაობრივად ცუდი არ ყოფილა. ერთია, უელსელები უფრო სწორად თამაშობდნენ და ამის კეთება იოლად უწევდათ. ურიგოდ არც ჩვენები გამოიყურებოდნენ, მაგრამ კლასში სხვაობა მაინც იგრძნობოდა. გარდა ამისა, მეტოქის კარამდე წვალებით მივდიოდით. მეორე ტაიმში შედარებით დავლაგდით, მაგრამ დასკვნით ფაზაში გვიჭირდა.

მატჩის დაწყებიდან მალევე გიორგი კოხრეიძემ მეტოქის ნახევარზე ბურთი მოიპოვა და ბექა მიქელთაძემ შორეული დარტყმით ოვენ ევანსს ბრწყინვალე გოლი გაუტანა.

საქართველოს ნაკრებს კიდევ ჰქონდა მომენტები, იმავე მიქელთაძის ტექნიკურად დარტყმული ბურთი ხარიხასაც მოხვდა, მაგრამ ბურთი საკუთარ კარში მივიღეთ: 30-ე წუთზე იოსეფ მორელის ჩაწოდება ანდრო გიორგაძეს ხელზე მოხვდა და პენალტი დაინიშნა, რომელიც მორელმა თავადვე შეასრულა. არადა, გიორგაძეს ხელზე საჯარიმოს გარეთ, სადღაც ერთ მეტრში მოხვდა ხელზე ბურთი. მსაჯი ქართველი იყო, მიკერძოებას ვერ დავაბრალებთ...

შემდეგ დანიელ ჯეიმსის დარტყმული გიორგი ჩოჩიშვილმა მოიგერია, თუმცა მარკ ჰარისმა დამატებაზე ანგარიში 1:2 გახადა. გოლის გატანა ჯეიმსსაც შეეძლო, მაგრამ ძალიან ახლოდან ხარიხას მოარტყა ბურთი.

მეორე ტაიმი დაბალ ტემპში წარიმართა, რამდენჯერმე მიქელთაძემ შეძლო თამაშის გამწვავება. თუმცა საბოლოოდ შედეგიანი დასასრული არ ჰქონია. 65-ე წუთზე ვატო არველაძეს ჰქონდა რეალური საგოლე მომენტი, თუმცა ვერ შეძლო გამოყენება.



86-ე წუთზე თორნიკე ძებნიაურმა ირაკლი ბუღრიძეს კარგი პასი გაუკეთა, სიან ჰარისმა თამაშის წესები დაარღვია. 11 მეტრიდან ბექა მიქელთაძემ ზუსტად დაარტყა და საბოლოო ანგარიში, 2:2 დააფიქსირა.

**გია ცეცაძე:**

– მიუხედავად იმისა, რომ პირველ ტაიმში გუნდის თამაში ვერ იყო ისე დალაგებული, როგორც მეორეში, მთლიანობაში, დადებითად შევაფასებდი. ამხანაგური მატჩები იმისთვის არის გამოსაყენებელი, რომ გამოჩნდეს ბევრი რამ. რა თქმა უნდა, შესაძლებელია, თამაში უფრო სუსტ გუნდებთან, მაგრამ ძლიერებთან უფრო ნათლად ვხედავთ ყველაფერს და მადლობა ფედერაციას ასეთი კარგი სპარინგებისთვის. განსაკუთრებით მინდა ბიჭების შრომა აღვნიშნო ვარჯიშებზე. დიდი ხანია ასეთი შრომა არ გაწეულა. საერთოდ, სანაკრებო პერიოდში მცირე დროა სამუშაოდ და ის, ამჯერად, ძალიან ნაყოფიერად გამოიყენეს. უელსის ნაკრებს ცუდი გუნდი ნამდვილად არ ეთქმის, ამიტომ თამაშიც კარგი გამოვიდა, გულშემატკივრებისთვისაც სანახაობრივი. რომ მოგვეგო, უკეთესი იქნებოდა, მაგრამ შედეგს, ამჯერად, მნიშვნელობა არ აქვს. რა თქმა უნდა, ყოველთვის მოსაგებად გავდივართ მოედანზე, მაგრამ თუ რამე პოზიტივსაც დავინახავთ ასეთ მატჩებში, ცუდი არ არის. სწორედ ეს პოზიტივი ჩანდა მეორე ტაიმში. პირველშიც იყო, მაგრამ ისე არა, როგორც მეორეში. თუმცა, ეს კიდევ უფრო დასახვეწია და მეტი დრო გვინდა.

***– მეორე მატჩში, შემადგენლობის მხრივ, ცვლილებები იქნება?***

– რა თქმა უნდა. ვისაც ნაკლები დრო მიეცა დღეს, შემდეგ მეტს ითამაშებენ.

***– რა შეცდომებზე გაამახვილებდით ყურადღებას?***

– თანამედროვე ფეხბურთი რაღაც კონკრეტული კომპონენტი არ არის. დაცვაშიც იყო შეცდომები, შეტევაშიც. უშეცდომო გუნდი არ არსებობს. სწორედ ამიტომ არის სავარჯიშო პროცესი და ამხანაგური მატჩები, რომ ეს შეცდომები გამოვასწოროთ. ძლიერ გუნდებთან ეს უფრო კარგად ჩანს. კატასტროფული შეცდომები არ გვქონია.

***– გუნდის კონტინგენტს და შემადგენლობას როგორ შეაფასებთ?***

– კარგი კონტინგენტია. ვფიქრობ, ამ ფეხბურთელებს შეუძლიათ საკუთარი ქვეყანა გაახარონ. ცხადია, დრო სჭირდება. მე არ შემიძლია, გუნდში მივიდე და მაშინვე შედეგის დადებას დავპირდე ხალხს. მგონია, რომ ნაბიჯ-ნაბიჯ ამას გავაკეთებთ. სამი საწვრთნელი პროცესი გავიარეთ აქამდე და ყველა ერთმანეთზე უკეთესი იყო. ვარჯიშია მთავარი და ვხედავ, რომ პერსპექტივა არის.

***– ეს კონტინგენტი საბოლოოა, თუ კიდევ ძიების პროცესში ხართ?***

– საბედნიეროდ, ჩვენ ამ ასაკში გვაქვს იმის ფუფუნება, რომ ერთ პოზიციაზე სამი ფეხბურთელი გვყავდეს. დღესაც, ვინც ახალი ფეხბურთელები იყვნენ, ასაკით პატარები არიან და მომდევნო შესარჩევ ციკლშიც შეეძლებათ თამაში.

***– ნაკრებში არ იყო გამოძახებული გიორგი არაბიძე, რამაც სხვადასხვაგვარი აზრი გამოიწვია გულშემატკივრებში...***

– არაბიძე არის ჩვენი ნაკრების წამყვანი ფეხბურთელი. ვიცით მისი შესაძლებლობები და დავასვენეთ. ამასთან, გიორგი გადაზრდილია შახტარის დუბლებისთვის და დროა, პროფესიონალურ ფეხბურთში დაიმკვიდროს ადგილი. არაბიძეს აქვს ამის პოტენციალი და დროც არის უკვე. ამიტომაც ახალი გუნდის ძიებაშია და, სავარაუდოდ, მალე ახალ გუნდში ითამაშებს. მთელი ამ შეკრების განმავლობაში, ხშირად გვაკითხავდა ვარჯიშებზე და, პრაქტიკულად, ჩვენთან იყო სულიერად.

## შედეგები

**3 ივნისი**

**ფეხბურთი**

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| ჰონდურასი-სალვადორი | 0:1 |
| მექსიკა-შოტლანდია | 1:0 |
| ალბანეთი-უკრაინა | 1:4 |
| ბრაზილია-ხორვატია | 2:0 |
| ანდორა-კაპო ვერდე | 0:0 |
| კოსტა რიკა-ჩრ.ირლანდია | 3:0 |
| ს.არაბეთი-პერუ | 0:3 |
| ესპანეთი-შვეიცარია | 1:1 |
| ამხანაგური მატჩები | (21) |
| ავსტრია-ჩეხეთი | 2:3 |
| საქართველო-უელსი | 2:2 |

მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა

# ტოჩინოშვილი საქართველოში ოძეკის ტიტულით დაბრუნდა



მესამე ევროპელი და პირველი ქართველი ოძეკი ტოჩინოშვილი, იგივე ლევან გორგაძე, გუშინ დილით სამშობლოში ჩამოვიდა. ქართველ სუმოისტს თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ოჯახის წევრები, ნათესავები, სუმომანთა კლუბის წევრები, გულშემატკივრები და ჟურნალისტები დახვდნენ. დახვედრის ცერემონიალს ქართული ჰანგებით აფორმებდა ანსამბლი „დიდგორი“.

ჟურნალისტები ვთქვით და, ლევანს იაპონიიდან 2 ტელევიზია ჩამოჰყვა, რომლებიც რეპორტაჟს ტოჩინოშვილზე საქართველოში გააკეთებენ.

ლევან გორგაძის თქმით, ის ძალიან ბედნიერი და აღელვებულია, რადგან ვერ იფიქრებდა, რომ აეროპორტში ამდენი გულშემატკივარი დახვდებოდა. განსაკუთრებით ამაღელვებელი იყო მისი პირველი შეხვედრა შვილთან...

**ლევან გორგაძე:**

– ერთი წელია, სამშობლოში არ ვყოფილვარ. უბედნიერესი ადამიანი ვარ, რადგან აეროპორტში ამდენი გულშემატკივარი დამხვდა. ქართველი ხალხის გულშემატკივრობას ყოველთვის ვგრძნობდი, რაც განსაკუთრებულ ძალას მანიჭებს და ამ მხარდაჭერას ყოველთვის ვიგრძნობ, სანამ სპორტში ვიქნები. ძალიან აღელვებული ვარ და მიჭირს საუბარი. ბედნიერი ვარ, რომ სუმოს იერარქიაში მეორე რანგი, ოძეკის წოდება მომენიჭა და ვეცდები, ეს სახელი ღირსეულად ვატარო. ჯერ ყველაფერი წინ არის. მიღწეულით არ ვკმაყოფილდები და, რა თქმა უნდა, ვიბრძოლებ იოკოძუნობისთვის. ხელის მცირე ტრავმა მაქვს და ამ ბაშოზე ბოლო ორთაბრძოლები ტრავმით ჩავატარე. მაგრამ, ვფიქრობ, მოვასწრებ მომჯობინებას და ნაგოია ბაშოზე მხოლოდ უმაღლესი მიზნებისთვის ვიბრძოლებ.

გეტყვით, რომ ტოჩინოშინმა ნაცუ ბაშო 13 მოგებითა 2 მარცხით დაასრულა. მან ლეგენდარული მონღოლი იოკოძუნა ჰაკუჰო დაამარცხა, რომელთანაც წინა 25 ორთაბრძოლა ჰქონდა წაგებული. თუმცა, ეს ბაშოს მოგებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა და ლევანი ვიცე-ჩემპიონობას დასჯერდა.

ამის მიუხედავად, სუმოს ასოციაციამ მას, სუმოს იერარქიაში მეორე რანგი, ოძეკის წოდება მიანიჭა.

# მამაკაცმა დათვს მის ძაღლზე თავდასხმისთვის სცემა



ამერიკის მიჩიგანის შტატის დასახლება ბოინ-ფოლზის მცხოვრებმა შავ დათვს სცემა, რომელიც მის ძაღლს თავს დაესხა.

თავდასხმა იმ დროს მოხდა, როდესაც მამაკაცმა ძაღლს ჯაჭვი გაუკეთა და ეზოში გაუშვა. მალე ძაღლმა დათვი შენიშნა და ყეფა დაუწყო. ამის პასუხად დათვმა მას თათი ჩასცხო. პატრონი შეეცადა ძაღლი სახლში დაებრუნებინა, მაგრამ ჯაჭვი დაიხლართა. მაშინ მან გადაწყვიტა, თავად ჩარეულიყო და თავის ძაღლს დათვი წიხლის კვრით მოაშორა, თუმცა გარეული ცხოველი მობრუნდა და უკბინა. ამის შემდეგ მამაკაცმა მტაცებელს ცხვირში მუშტი უთავაზა და კარი ჩაკეტა.

ძაღლი გადარჩა, თუმცა მას ვეტერინარის დახმარება დასჭირდა, რომელმაც შინაურ ცხოველს ჭრილობებზე ნაკერები დაადო. მისი პატრონი კი არ დაშავებულა.

# ქალი კანალიზაციაში იხვის ჭუჭულების გადასარჩენად ჩაძვრა



ამერიკის ტენესის შტატის ქალაქ მემფისის მცხოვრები სანიაღვრე კანალიზაციაში იმისთვის ჩავიდა, რომ იხვის ჭუჭულები გადაერჩინა.

ქალის ყურადღება მიიქცია იხვმა, რომელიც სანიაღვრე კანალიზაციის რკინის ცხაურთან იდგა და შეშფოთებული ხმით ყიყინებდა. მის გარშემო თავი რამდენიმე პოლიციელმა და გამვლელმა მოიყარა. ამ აურზაურის გამომწვევი მიზეზი იხვის ჭუჭულები აღმოჩნდნენ, რომლებიც სანიაღვრეში ჩაცვივდნენ და უკან ამოსვლას ვერ ახერხებდნენ.

ქალმა გადაწყვიტა ფრინველებს დახმარებოდა და სანიაღვრე არხში ჩაძვრა. მან ისინი ერთი მეორის მიყოლებით დაიჭირა და სათითაოდ გადასცა ზევით მყოფ ადამიანებს. როდესაც რვავე ბარტყი დაუბრუნეს იხვს, მხოლოდ ამის შემდეგ ამოვიდა ქალი კანალიზაციიდან.

# ზაზა ფაჩულია მეორე ბეჭდისკენ მიიწევს



გოლდენ სტეიტ უორიორსმა ნბა-ს ფინალური სერიის მეორე მატჩიც მოუგო (122:103) კლივლენდს და ზედიზედ მეორე ჩემპიონობას მიუახლოვდა. სერიის წინა მატჩისგან განსხვავებით, ოკლენდელთა ქართველმა ცენტრმა ამჯერად ითამაშა. ზაზა ფაჩულია მოედანზე მატჩის ბოლოს გამოიყვანეს, როცა გოლდენ სტეიტს მოგება გარანტირებული ჰქონდა.

ფაჩულიამ მთლიანობაში 3 წუთი ითამაშა და 6 ქულა, 2 მოხსნა და 1 დაფარება მოაგროვა. ქართველმა ცენტრმა 2-დან 1 ორქულიანი და ოთხივე საჯარიმო ჩააგდო. რაც შეეხება მატჩის ბედს, ის გოლდენ სტეიტის „ოქროს სამეულმა“ – კევინ დიურანტმა, სტეფ კარიმ და კლეი ტომპსონმა გადაწყვიტეს. კარიმ ნბა-ს ფინალური სერიების ყველა დროის რეკორდი დაამყარა კლივლენდის კალათში ჩაგდებული 9 სამქულიანით. მან ერთით გააუმჯობესა რეი ალენის შედეგი. ფინალური სერიის მე-3 მატჩი კლივლენდში გაიმართება.

18 წლის გოგა ბითაძემ სეზონი მაჟორულ ნოტზე დაასრულა. სერბეთის ჩემპიონატის მე-5 – მე-8 ადგილებისთვის მებრძოლი მისი მეგა ბიმაქსი საბოლოოდ მე-5 ადგილზე გავიდა. ბოლო შეხვედრაში ბითაძის გუნდმა ვრაში 83:61 დაამარცხა, ქართველი ცენტრი კი მატჩის საუკეთესო მოთამაშე გახდა.

გოგა სასტარტო ხუთეულში გამოჩნდა და 26 წუთში 25 ქულა, 4 მოხსნა და 2 ჩაჭრა მიითვალა. ქართველმა ლეგიონერმა 11-დან 8 ორქულიანი, სამქულიანი და 7-დან 6 საჯარიმო ჩააგდო. ბითაძის სარგებლიანობის კოეფიციენტი 25-ს გაუტოლდა და ეს, ორივე გუნდის რიგებში, საუკეთესო მაჩვენებელი იყო.

# ბრიტანელი ქალი მთიდან დაგორდა და გადარჩა



ახალი ზელანდიის ქალაქ ტაუნოს მახლობლად მდებარე მთაზე ასვლის დროს ბრიტანელი ტურისტი ქალი 100 მეტრის სიმაღლიდან ჩამოვარდა და ცოცხალი გადარჩა.

30 წლის ბრიტანელი, რომელიც ახალ ზელანდიაში ცხოვრობს და მუშაობს, ავსტრიელ სტუმართან ერთად გაემგზავრა მთებზე ასასვლელად. ასვლის დროს, მას ყინულზე ფეხი დაუცდა და ხევში ჩავარდა. გზად ქალი ქვებსა და ყინულებს ეხეთქებოდა, თავიც დაარტყა, თუმცა ცოცხალი გადარჩა, მხოლოდ დაჟეჟილობები, ნაკაწრები და ჩალურჯებები მიიღო.

მისმა თანამგზავრმა ვერ შენიშნა, თუ სად ჩავარდა ბრიტანელი. თავდაპირველად ის შიშობდა, რომ თანამგზავრი დაიღუპა, მაგრამ მათ ერთმანეთს ხმა მიაწვდინეს. მომხდარიდან ათ წუთში ავსტრიელი ექსტრემალურ სამსახურს დაუკავშირდა და მომხდარის თაობაზე აცნობა.

დაშავებულის დასახმარებლად შვეულმფრენი გაიგზავნა. მან ექიმები იმ ხეობის მახლობლად ჩამოსვა, სადაც ბრიტანელი იმყოფებოდა, შემდეგ კი მაშველები მიიყვანა იმ მთაზე, სადაც ავსტრიელი გოგონა იმყოფებოდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# იტალია ფლორენციაში დაგვიხვდება



ბორჯღალოსნები ამა წლის ნოემბერში იტალიას ეწვევიან და მასპინძელთა ეროვნულ გუნდთან 10 ნოემბერს, ურთიერთშეხვედრების ისტორიაში მეოთხე ტესტ-მატჩს გამართავენ.

თამაში ფლორენციაში, „არტემიო ფრანკიზე“ გაიმართება, რომელიც 1931 წელს აშენდა, 1990 წელს რეკონსტრუქცია ჩაუტარდა და 43.147 მაყურებელს იტევს.

„არტემიო ფრანკიმ“ საერთაშორისო სანაკრებო მატჩს ორჯერ უმასპინძლა და იტალიელთა ისტორიული გამარჯვების მოწმეა. აძურიმ 2010 წლის 20 ნოემბერს ფლორენციაში ავსტრალია მიიღო და 14:32 დამარცხდა, ხოლო 2016 წელს 19 ნოემბერს სამხრეთ აფრიკას უმასპინძლა და ამ გუნდთა არსებობის ისტორიაში პირველი გამარჯვება იზეიმა – 20:18.

ბორჯღალოსნებს იტალიის ეროვნული ნაკრების წინააღმდეგ 3-ჯერ უთამაშიათ, სამჯერვე იტალიაში და ბალანსი მეტოქის სასარგებლოდაა – 3:0.

პირველი შეხვედრა 1998 წელს ლაკვილაში გაიმართა. ეს იყო 1999 წლის მსოფლიო თასის შესარჩევი მატჩი და მასპინძლებმა 31:14 იმარჯვეს. 2000 წელს, ექვსი ერის ზღვარზე მყოფმა იტალიამ ლივორნოში მიგვიღო და 51:7 იმარჯვა.

აძურის ბოლოს 2003 ვეთამაშეთ. მაშინ გუნდები მსოფლიო თასისთვის ემზადებოდნენ და ასტიში მაყურებელმა დაძაბული ბრძოლა იხილა, შეხვედრა კი იტალიის ნაკრების 9-ქულიანი გამარჯვებით დასრულდა – 31:22.

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

# ასტროპროგნოზი

## 5 ივნისისთვის



**ვერძი** – ეჭვების საფუძველი არ გაქვთ. მიენდეთ განსაკუთრებით გამახვილებულ ინტუიციას. გეგმები გეცვლებათ. **კურო** – საკუთარი პრინციპები დროებით გვერდზე გადადეთ და სხვისი ინტერესების გათვალისწინებით იმოქმედეთ. **ტყუპები** – აქტიური დასვენება თქვენს ფსიქიკაზე დადებითად იმოქმედებს. საყიდლებზე წასვლა იღბლიანი იქნება. **კირჩხიბი** – აფორიაქებული ხართ. პესიმიზმი გიტევთ. სასარგებლოა ფიზიკური შრომა. **ლომი** – ახალი გატაცებები, ნაცნობობა, ურთიერთობების გაფართოება დღის დევიზია. იყავით დამოუკიდებელი. **ქალწული** – ძალზე აქტიური და შემოქმედებითი დღეა. სიძნელეებს მარტივად გადალახავთ. **სასწორი** – ნეგატიური დღეა. თავს ნურავის მოატყუებინებთ. ურთიერთობებში ორაზროვნება ჭარბობს. **ღრიანკალი** – წარმატებული დღეა. მიზნის მიღწევაში ხელს ვერაფერი შეგიშლით. ქალები საკუთარ ტალანტს საკმაოდ ეფექტურად წარმოაჩენთ. **მშვილდოსანი** – ჰარმონიული დღეა. ფსიქოლოგიურად გაწონასწორებული ხართ. ნებისმიერი საქმე თამამად დაიწყეთ. **თხის რქა** – სასიყვარულო ურთიერთობებში გიმართლებთ. მატერიალური მდგომარეობა არასახარბიელოა. საყიდლებზე წასვლა, ფულის დაბანდება რეკომენდებული არ არის. **მერწყული** – ახლობლებს თქვენი დახმარება სჭირდებათ. დაეხმარეთ, მაგრამ ისე, რომ თქვენი პირადი ინტერესები არ დაზარალდეს. **თევზები** – დღეს ცხოვრებისეული სიტუაცია რეალურად შეგიძლიათ უკეთესობისკენ შეცვალოთ. გამართლებულია მსხვილი შენაძენი. ემოციებს ნუ გამოავლენთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი 8

**შვეულად:** 1. მწყრის ბარტყი; 2. ამერიკული სიგარეტი; 3. ნივთიერების დაშლა სინათლის ზემოქმედების შედეგად; 4. კვალიფიკაციის ასამაღლებლად მივლინებული პირი; 8. კონიაკის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 9. ოფიციალური სახელმწიფო რელიგია იაპონიაში; 11. წმინდანად შერაცხული ქართველი მეფე; 12. ესპანელი სიურეალისტი მხატვარი; 14. მუშაობის, ენერგიის საზომი ერთეული ფიზიკაში; 16. სხეულის რიტმული, მოხდენილი მოძრაობის ხელოვნება; 17. ძალიან პატარა, სპეციალური სარბოლო მანქანა; 19. აზერბაიჯანის პრეზიდენტი; 21. ქალის ძვირფასთვლებიანი სამკაული.

**თარაზულად:** 5. სერბი ჩოგბურთელი მამაკაცი; 6. ბერძნული ფილოლოგიის სპეციალისტი; 7. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 10. წყალი მყარ მდგომარეობაში; 13. სისხლის ნებაყოფლობით გამღები პირი; 15. მოკლე დისტანციებზე მოასპარეზე სადოღე ცხენი; 18. სისხლის თხევადი ნაწილი; 20. უწყინარი ხასიათის დაცინვა; 22. ქალაქის თავი ჩეხეთში; 23. ივლისის თვის ქართული სახელწოდება; 24. თეთრყურძნოვანი ვაზის გერმანული ჯიში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 6. კვართი; 7. ვესტერნი; 8. ტონიკა; 10. ინოლა; 11. ლანდსტინგი; 13. ნეისტონი; 16. ოლიმპი; 19. აპატრიდი; 20. კარაველა.

**შვეულად:** 1. ევფონია; 2. ეთიკა; 3. კემპინგი; 4. ლემინგი; 5. დიაპაზონი; 9. კრიშნა; 12. კლუატრი; 14. ეფედრა; 15. ტიტა; 17. პანდა; 18. ფარა.

**სკანვორდის პასუხები:**

1. გარგარი; 2. გო; 3. აგური; 4. ალასანია; 5. რუ; 6. გული; 7. სტარკი; 8. ერა; 9. ტენორი; 10. ანძა; 11. ფასი; 12. ლიბია; 13. ცეცე; 14. მა; 15. ვოლანი; 16. ბუცი; 17. ერწო; 18. დოვლათი; 19. დიანა; 20. მის; 21. მედიანა; 22. ბაიკალი; 23. საწვიმარი; 24. რიგოდონი; 25. ჩაი; 26. ფარვანა; 27. არკა; 28. ნაგლინი; 29. ათოსი; 30. ადლი; 31. საპალნე; 32. დაფნა; 33. სინდისი; 34. სი.

**სურათებზე:** სელინ დიონი; დენი ლანდძაატი.

## სამგლოვიარო განცხადებები



სპორტის კოლეჯის პროფესორ-მასწავლებლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან თანამშრომლის, წარსულში ცნობილი სპორტსმენის ნიჩბოსნობაში, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის, სახელმწიფო მწვრთნელის ნიჩბოსნობაში

### გოგი ელბაქიძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ოჯახს.

დაკრძალვა: 5 ივნისს, 14 საათზე.

მისამართი: ბაგები, უჩანეიშვილის IV გასასვლელი, №15.

## მირონცხებული დასტაქარი



ქართულმა სამედიცინო საზოგადოებამ მძიმე დანაკლისი განიცადა – გარდაიცვალა დიდი ქართველი ქირურგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

### ბუჭა ქიშვარდის ძე არჩვაძე

ბუჭა არჩვაძე დაიბადა 1939 წლის 12 ივლისს, 1972 წელს ქ. კემეროვოს სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის წარმატებით (წითელ დიპლომზე) დამთავრების შემდეგ მუშაობდა კემეროვოში და ქ.პროკოპიევში, სადაც რიგითი ქირურგიდან გახდა წამყვანი სპეციალისტი-ონკოლოგი.

1980 წელს ოჯახთან ერთად დაბრუნდა საქართველოში. მუშაობდა ქარელის რაისაავადმყოფოს ქირურგად; 1981 წლიდან ჯერ ბოლნისის საავადმყოფოს განყოფილების გამგეა, ხოლო შემდეგ მარნეულის რეგიონალური საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების გამგე და ქვემო ქართლის მთავარი ქირურგი.

1996 წლიდან შეთავსებით აგრძელებს მუშაობას თბილისის II სამკურნალო კომბინატის წამყვან ქირურგად და სამედიცინო ინსტიტუტის „სხივის“ პროფესორად. ხოლო 1999 წლიდან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ პროფესორია. 2002 წელს თსსუ პროფესორია, ხოლო 2009 წლიდან ამავე უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

1989 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1995 წელს სადოქტორო დისერტაცია. არის მონოგრაფიებისა და ქირურგიის სახელმძღვანელოების ავტორი. გამოქვეყნებული აქვს 100-ზე მეტი ნაშრომი, რამდენიმე მეთოდური რეკომენდაცია და სხვადასხვა პუბლიკაციები.

ბუჭა არჩვაძე იყო ხელმადლიანი დასტაქარი, ჩატარებული აქვს 20 000-ზე მეტი ოპერაცია. მათ შორის უმრავლესობა მუცლის ღრუს ურთულესი ოპერაციები. დანერგილი აქვს პრაქტიკაში კუჭის რეზექციის, ელენთის რეზექციის, თიაქარპლასტიკის, სანაღვლე გზების, მსხვილი ნაწლავის რეკონსტრუქციის ორიგინალური მეთოდები. არის ოთხი გამოგონების ავტორი. მისი ხელმძღვანელობით დაცულია ერთი სადოქტორო და ოთხი საკანდიდატო დისერტაცია. არის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომის მონაწილე. დაჯილდოვებულია საპატიო ნიშნისა და ღირსების ორდენით.

უკურნებელმა სენმა იმსხვერპლა სახელოვანი დასტაქარი, კარგი მეოჯახე, ჭეშმარიტი ექიმი და მოქალაქე, ბატონი ბუჭა არჩვაძე.

მისი ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მისი ახლობლების, მადლიერი პაციენტების, მეგობრებისა და კოლეგების მეხსიერებაში.

უფალს შევთხოვოთ, მადლიან და მართალ ექიმს, ბუჭა ქიშვარდის ძე არჩვაძეს დაუმკვიდროს სასუფეველი იქ, სადაც მართალნი განისვენებენ.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
ქირურგიულ სნეულებათა პროპედევტიკის დეპარტამენტი

---

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, ქირურგიულ სნეულებათა პროპედევტიკის დეპარტამენტი, საქართველოს გრ. მუხაძის ქირურგთა ასოციაცია

ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი ქირურგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

### ბუჭა ქიშვარდის ძე არჩვაძე

დაკრძალვა: 5 ივნისს, 14 საათზე, ამბროლაურის რაიონის სოფ. ფუტიეთში.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12–დან 17 საათამდე.**

## გიორგი კეკელიძე ჩინეთის ლიტერატორთა და გამომცემელთა მსოფლიო ფორუმზე წარდგა




მწერალმა და პოეტმა გიორგი კეკელიძემ ჩინეთის ლიტერატორთა და გამომცემელთა მსოფლიო ფორუმზე საქართველო პირველად წარადგინა:

– თბილისში მიმდინარე ვნებათაღელვის გამო, რთულია სხვა საკითხებზე საუბარი, მაგრამ მაინც გამცნობთ, რომ ჩინეთის ლიტერატორთა და გამომცემელთა მსოფლიო ფორუმზე საქართველო პირველად წარმოვადგინე. გარდა ქართულ ლიტერატურაზე საუბრისას, მეცვა ჩემი „აუცილებელი მაისური“, რომელზეც მკვეთრად აწერია, რომ ჩემი ქვეყნის 20 პროცენტი ოკუპირებულია. ცხადია, ამაზე ვისაუბრე კიდეც, რაც ბევრი ქვეყნის წარმომადგენლისთვის სიახლეც კი აღმოჩნდა. კონფერენციის შემდეგ საქართველოს საელჩოს და ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის წარმომადგენელთა ორგანიზებით ჩინელ გამომცემლებს შევხვდი და ჩვენი ავტორები გავაცანი. ძალიან მნიშვნელოვანი ამბავი იყო ორივე, თუმცა, ცხადია, ჩემთვის ამ ყველაფერს ჩრდილავდა თბილისური მოვლენები. მაქვს იმედი, რომ ყველაფერს მალე მოეფინება ნათელი და ყველა დამნაშავე დაისჯება.

## სტეფანე კონცერტის ჩატარებისთვის ბოდიშს იხდის




მომღერალი სტეფანე მღებრიშვილი 7 ივნისს თბილისის საკონცერტო დარბაზში კონცერტს გამართავს.

– სულ ვიღებდი საყვედურს, კონცერტებს კლუბებში რომ აკეთებ, ვისაც ფეხზე დგომა არ შეგვიძლია, როგორ მოგისმინოთო... ახლა ვღებულობ წერილებს, შენს კონცერტზე როგორ ვიჯდეთო... ხო და პროგრამის ადაპტაცია გავაკეთეთ ისეთი, რომ დარბაზში ჯდომით არ შეწუხდეთ და მაინცდამაინც თუ მოგინდებათ ცეკვა, სცენის წინ იქნება მოუსვენარი ხალხისთვის სივრცე, სადაც მაგრა შეძლებთ ცეკვას ... მეც გამიხარდება და იმედია თქვენც, – აცხადებს მომღერალი.

ყველასთვის კარგად ცნობილი ქართველი მუსიკოსი, მომღერალი და პროდიუსერი, სტეფანე კვლავ გაახარებს ერთგულ მსმენელს და ამჯერად, მათ თბილისის საკონცერტო დარბაზში უმასპინძლებს. მრავალფეროვანი საკონცერტო პროგრამა 20-წლიანი გამოცდილებისა და შემოქმედების შედეგია.

ელექტრონული მუსიკა, პოპი, ბლუზი, დისკო და ფანქი მომღერლის ინდივიდუალური, ადგილობრივი სცენისთვის სრულიად ახლებური იმიჯი, ყველაფერი იმისთვის, რომ 7 ივნისის საღამო მაქსიმალურად სასიამოვნო გამოვიდეს.

სტეფანესთან ერთად კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ პიანისტი პაატა ანდრიაძე, დრამერი ზაზა ცერცვაძე, ბასისტი ლევან დეისაძე, გიტარისტი უჩა მეტრეველი, მესაყვირე დათო შამანაური, საქსაფონისტი ხონძი და ხმის რეჟისორი გიორგი გვარჯალაძე. კონცერტის სპეციალური სტუმრები იქნებიან მაია დარსმელიძე, ქეთათო და ერეკლე დეისაძე. ბექვოკალში კი იმღერებენ მაიკო კაჭკაჭიშვილი, სოფი სააკაშვილი და მარიამ მახაშვილი.

სტეფანე:

– ბოდიშს გიხდით, რომ კონცერტისთვის ვემზადები... უბრალოდ სხვა პროფესია არ მაქვს... და აუცილებლად ეს კონცერტი უნდა ჩავატარო.

## კომპოზიტორ მერაბ მამულაშვილს საზოგადოების დახმარება ესაჭიროება



კომპოზიტორ მერაბ მამულაშვილს საზოგადოების დახმარება ესაჭიროება. მას ჯანმრთელობის პრობლემები აქვს. ინფორმაცია კომპოზიტორთან დაკავშირებით ქორეოგრაფმა გელა ფოცხიშვილმა გაავრცელა:

– კომპოზიტორ მერაბ მამულაშვილს სასწრაფოდ ესაჭიროება თვალებზე მისთვის მეტად ძვირადღირებული ოპერაცია, ამ კონკრეტულ მომენტში მას არა აქვს ამის ფინანსური საშუალება.

სამწუხაროდ, მისი დიდი მცდელობისა, რომ დაფინანსებულიყო ეს ოპერაცია, მან ყველა ინსტანციიდან უარი მიიღო დახმარებაზე...

ამასთან დაკავშირებით ჩვენი ღვაწლმოსილი და უსაყვარლესი კომპოზიტორის პატივსაცემად ჩატარდება საქველმოქმედო კონცერტი, რომლიდანაც შემოსული თანხა მთლიანად მოხმარდება მის ოპერაციას.

ხოლო ვიდრე კონცერტი ჩატარდება, ყველა ადამიანს, ვისაც გული შესტკივა ბატონ მერაბ მამულაშვილზე, შეგიძლიათ გადარიცხოთ ნებისმიერი თანხა საქართველოს ბანკში გახსნილ სპეციალურ ანგარიშის ნომერზე, რომელიც დააჩქარებს მისი ოპერაციის დროულად ჩატარებას.

## გიორგი გასვიანი: „რანაირი ქვეყანა ჩამოვაყალიბეთ?“



კითხულობს მსახიობი გიორგი გასვიანი და შეკითხვას პასუხს თავადვე სცემს:

– რანაირი ქვეყანა ჩამოვაყალიბეთ არა?! სიტყვა პოლიტიკა ასოცირდა შიშთან, რომ ვინმემ წარსულში არ დაგვაბრუნოს, სახალხო დამცველს დედას აგინებენ ქუჩაში, პრემიერს ბოთლებს ესვრიან, მკვლელებს არ სჯიან, მუშებს კლავენ მშვიდად. ორპოლუსიანი საზიზღარი პოლიტიკური რეალობაა და ვერ ხვდება ხალხი, რომ ეს ორპოლუსიანობა ატყვევებს ყველას და ყველაფერს, ერთი ცუდი წარსულია, მეორე ცუდი აწმყო... და მომავალი არ ჩანს. მესამე არავინ არ ჩანს! უბედურებაა! რაღაც მაინც მოხდება... რაღაც სხვა არ მოხდეს ამასობაში! ბუნების კანონით!

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## ქეთევან კიკნაძე ადამიანებს საკუთარი მანქანით მომსახურებას სთავაზობს



79 წლის მსახიობი ქეთევან კიკნაძე თანამოქალაქეებს საკუთარი მანქანით მომსახურებას სთავაზობს. ეს იდეა ხელოვანს მას შემდეგ გაუჩნდა, რაც თბილისის მეტროპოლიტენის თანამშრომლები გაიფიცნენ:

– რადგან ასე გაწირეს თავისი ხალხი იმ დროს, როცა არეულობაა, ეს საბოტაჟია. მე მოვუწოდებ ყველა მძღოლს, მოვემსახუროთ ხალხს და დავეხმაროთ გადაადგილებაში. მე გავდივარ, რომ დავეხმარო ხალხს. გთხოვთ ყველას, ვისაც მანქანა ჰყავს, გამოდით.

## ნიაზ დიასამიძე: „საქართველოში ვერ მოძებნით ადამიანს, რომელიც თვლის, რომ ის „მტყვანია“...




ასე მიაჩნია მომღერალ ნიაზ დიასამიძეს და ამის დამადასტურებელ მოსაზრებასაც ასაჯაროებს:

– საქართველოში ვერ მოძებნით ადამიანს, რომელიც თვლის რომ ის „მტყვანია“... აქ ყველა მართალია! და თუ გაინტერესებთ საიდან ვიცი? გიპასუხებთ, რომ აქ ყველამ ყველაფერი ვიცით. ვიმეორებ – ყველაფერი... რატომ? იმიტომ! საიდან? ტუმბოჩკიდან! როგორ? როგორც დაგიბარებია.

## ქეთათო სამართლიან გამოძიებას ითხოვს



მომღერალი ქეთათო სამართლიან გამოძიებას ითხოვს და საზოგადოებას ზაზა სარალიძის მიმართ გამოთქმული მოსაზრებების დროს მეტი დაფიქრებისკენ მოუწოდებს:

– თავისი ტკივილი და უბედურება თითქოს არ კმარა შვილმკვდარი მამისთვის, რომ საზოგადოებაში გამძვინვარებული შიზოიდური დამოკიდებულებები, ზიზღი და ისტერია არ მოახვიოთ თავს?! დიდი გამოწვევის წინაშე დგას ეს ადამიანი და მისი უბედურებით ქულებს ვერავინ დაიწერს. გულწრფელად მჯერა, რომ საზოგადოების ამხელა ჩართულობა და, რაც მთავარია, მისი ლეგიტიმური მოთხოვნა, რომ მოხდეს სამართლიანი გამოძიება და დაისაჯონ მკვლელები, ძალიან მალე დაკმაყოფილდება, სხვა გზა უბრალოდ არ არსებობს არც ხელისუფლებისთვის, არც საზოგადოებისთვის და არც სარალიძეების ოჯახისთვის.

## სპორტი

### უმტიტიმ ბარსელონასთან ახალი კონტრაქტი გააფორმა




ბარსელონას მცველმა სამუელ უმტიტიმ გუნდთან ახალი კონტრაქტი გააფორმა, რომლის მიხედვითაც ის ბარსელონაში 2023 წლის ჩათვლით ითამაშებს.

უმტიტიმ განაცხადა რომ ბარსელონა მას ძალიან უყვარს და ის კატალონიური გუნდის ღირსებას კიდევ დიდი ხნის მანძილზე დაიცავს.

რამდენიმე თვის წინ უმტიტი უარს ამბობდა კონტრაქტის გახანგრძლივებაზე და მის წასვლაზე საუბრობდნენ, მაგრამ საბოლოოდ უმტიტიმ კონტრაქტი გაახანგრძლივა.

ფრანგი მცველი ბარსელონაში 2016 წელს გადავიდა. მანამდე ის ლიონის ღირსებას იცავდა.

### ლეროი სანე მსოფლიო ჩემპიონატის მიღმა დარჩა



ლეროი სანე გერმანიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა იოაჰიმ ლიოვმა მსოფლიო ჩემპიონატზე არ წაიყვანა. ეს გადაწყვეტილება საკმაოდ უცნაურია, რადგან სანე მანჩესტერ სიტის ერთ-ერთი ლიდერია და წელს მან ძალიან კარგი სეზონი ჩაატარა.

გვარდიოლა სანეს ძალიან აქებს და მას მანჩესტერ სიტის მომავალს ეძახის. მიუხედავად ამისა, ლიოვმა სანეს მსოფლიო ჩემპიონატზე წაყვანა საჭიროდ არ ჩათვალა.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**5 ივნისისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

- აშშ დოლარი — 2.4735
- ევრო — 2.8962
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.2940
- 100 რუსული რუბლი — 3.9770

## ამინდის პროგნოზი 5 ივნისისთვის




## სერია თანამედროვე რუსული ბესტსელერი

**18 მაისიდან** ვიქტორ სუვოროვი **აკვარიუმი**



ეს წიგნი რუსული გრუ-ს საიდუმლო საქმიანობის შესახებ მოგვითხრობს.

**ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი**

**25 მაისიდან**

დინა რუბინა

**პეტრუშკას სინდრომი**



„პეტრუშკას სინდრომი“ დინა რუბინას ყველაზე დრამატული რომანია. მისი ყოველი ახალი რომანი ბესტსელერია და გამოცემისთანავე ათეულობით ენაზე ითარგმნება.

**ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი**



**1 ივნისიდან**

ვიქტორ პელევინი

**სამი ცუკერბრინის სიყვარული**

ფეისბუქი, გუგლი, უკრაინა, მომხმარებლის კულტი, ტოლერანტობა, ტერორიზმი, იმ ტრენდებს შორისაა, რასაც წიგნი ეხება.

**ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი**



**8 ივნისიდან**

ევგენი ვოდოლაზკინი **ლავროსი**

სნეულთა განკურნების განსაცვიფრებელი უნარით დაჯილდოებული არსენი სიკვდილისგან ვერ იხსნის საყვარელ ქალს. სწორედ ეს იქცევა მისი ცხოვრების გარდამტეხ მომენტად.

**ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი**


## ბოაი

BOAI

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

-გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
-ნერვულისისტემა, ხერხემალი, სახსრები
-კანის დაავადებები
-უროლოგია
-გინეკოლოგია

მისამართი -ქ. თბილისი, დ.ყიფიანის ქ. 2
ტელეფონი - 2 47 91 12
10:00 – 19:00 სთ. შაბათ -კვირის ჩათვლით




## სერია ნამდვილი დეტექტივი

**22 მაისიდან** ნაიო მარში **კაცი იწვა მკვდარი**



დეტექტივი როდერიკ ალეინი ინგლისის ერთ-ერთ რესპექტაბელურ სახლში „მკვლელობანას“ თამაშის დროს მომხდარ ნამდვილ მკვლელობას იძიებს. მსხვერპლი მონღოლური წარმოშობის რუსული სარიტუალო ხანჯლით არის მოკლული.

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**

**29 მაისიდან**

ანდრეა კამილერი **წყლის ფორმა**



ზღვისპირა იტალიური ქალაქის უმდიდრესი ადამიანი და არაფორმალური მმართველი პიკანტურ ვითარებაში იღუპება. ყველა დაინტერესებულია ამ საქმით, რომის პაპით დაწყებული, პროვინციელი მოსამართლით დასრულებული.

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**



**5 ივნისიდან**

გილბერტ ჩესტერტონი

**მამა ბრაუნის სკანდალური ამბავი**

მამა ბრაუნი ჩია, პროვინციელი კათოლიკე მღვდელია, არც რამე სისტემა გააჩნია ჩახლართული დანაშაულების გასახსნელად. ბოროტმოქმედების მხილება მისი ჰობია, რაც ძალიან კარგად გამოსდის.

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**

**12 ივნისიდან**

როს მაკდონალდი **შიში**



ოთხმაგი მკვლელობა. ოთხი გარდაცვლილი. პირველ მსხვერპლს დანარჩენებისგან წლები აშორებს, მაგრამ მკვლელობა ერთი პიროვნების ხელით ხდება. მკვლელის ვინაობას, რამდენიც უნდა ეცადოთ, ვერ გამოთვლით, მხოლოდ ბოლო გვერდზე ამოიკითხავთ და გაოცდებით.

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**

## ანტუან გრიზმანი შესაძლოა ატლეტიკოში დარჩეს



მადრიდის ატლეტიკოს ფრანგი ფორვარდი ანტუან გრიზმანი შესაძლოა ატლეტიკოში დარჩეს და ბარსელონაში არ გადავიდეს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, გრიზმანმა ახლობლებს უთხრა, რომ ის დარჩენას აპირებს. გრიზმანის ტრანსფერი ბარსელონაში თითქმის გადაწყვეტილი იყო, მაგრამ როგორც ჩანს ბოლო მომენტში თვითონ ფეხბურთელმა თავისი გადაწყვეტილება შეცვალა.

გრიზმანს ატლეტიკოში დარჩენა საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელმაც დიდიე დეშამმაც ურჩია, რომლის აზრით, გრიზმანი ბარსელონაში ლიდერი ვერ გახდება.

## მოდრიჩი ნეიმარს მადრიდში იხმობს



ლუკა მოდრიჩი ნეიმარს შეხვდა, როდესაც ხორვატიის და ბრაზილიის ნაკრებებმა ამხანაგური შეხვედრა ჩაატარეს. მატჩის შემდეგ მათ მაისურები გაცვალეს და მოდრიჩმა ნეიმარს უთხრა, რომ მას რეალში ელიან.

ნეიმარის რეალში გადასვლაზე უკვე დიდი ხანია საუბრობენ, მაგრამ ჯერჯერობით ეს მხოლოდ ჭორებია, თვითონ ნეიმარმა კი ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა რომ ის პსჟ-დან არ წავა.

რაც შეეხება ბრაზილია-ხორვატიის შეხვედრას, ის 2:0 დასრულდა და ნეიმარმა გოლი გაიტანა.

ბრაზილიელი ფეხბურთელი მოედანზე სამთვიანი პაუზის შემდეგ დაბრუნდა.

## სერენა უილიამსი ტრავმის გამო როლან გაროსს გამოეთიშა



მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი ქალებში სერენა უილიამსი როლან გაროსს გამოეთიშა. 4 ივნისს, სერენას მარია შარაპოვასთან უნდა ეთამაშა, მაგრამ მატჩამდე რამდენიმე საათით ადრე სერენამ უარი თქვა ამ შეხვედრაზე ტრავმის გამო.

ჯერჯერობით უცნობია თუ რამდენად სერიოზულია მისი ტრავმა, თუმცა სერენამ განაცხადა, რომ კარიერის დასრულებას არ აპირებს, მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელი ჩოგბურთელი მალე 37 წლის გახდება.

რაც შეეხება შარაპოვას, ის კორტებზე დაბრუნების შემდეგ დიდი სლემის მეოთხედფინალში პირველად გავიდა.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## იუმორი



ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– რა გაუკეთებია ქალს ყველაზე მოულოდნელი, შენთან სექსის დროს?

– გაეღვიძა.

●●●

ორნი საუბრობენ. ერთი მეორეს ეკითხება:

– თუ იცი, რატომ არ აცვიათ საცვლები ჯადოქარ ქალებს?

– ცოცხს, რომ კარგად მოეჭიდონ!

●●●

ერთი მეგობარი მეორეს შეკვრად აწვდის და ეუბნება:

– აი, აიღე ეს წამალი.

– რა მწარეა, რისი წამალია?

– კოღოს.

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– წამოდი, ჩვენთან კრემატორიუმში დაგაწყებინებ მუშაობას. ხელფასი ნორმალურია, სხვადასხვა შეღავათებითაც ვსარგებლობთ.

– რა შეღავათებით?

– მაგალითად, ჩვენს თანამშრომლებს კრემატორიუმში ურიგოდ ემსახურებიან.

●●●

მამაკაცმა სექს-ტელეფონზე დარეკა და გოგონას სთხოვა, რომ რაიმე ყველაზე აღვირახსნილი უხამსობა მოასმენინოს.

გოგონამ საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრების თამაშის პირდაპირი ტრანსლაცია ჩაურთო.

●●●

ოპერაციაგადატანილ ავადმყოფს სახლში გაშვების წინ ექიმი რჩევა-დარიგებას აძლევს:

– დაიმახსოვრეთ, არავითარი მოწევა, დალევა გამორიცხულია, დღეში მინიმუმ რვა საათის ძილი...

– და სქესობრივი ცხოვრება?

– მხოლოდ ცოლთან, თქვენთვის აღგზნება დაუშვებელია... მოკვდებით.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ადამიანის თავის მქონე, მწოლიარე ლომის გიგანტური ქანდაკება ეგვიპტეში; 2. ყურძნის სხვადასხვა ჯიშების შერევა ღვინის ხარისხის გასაუმჯობესებლად; 3. უკრაინის ჰეტმანი, ეროვნული გმირი; 4. ერთ-ერთი კონტინენტი; 5. თანაგრძნობა, კეთილი განწყობილება ვინმესადმი; 7. იაპონური ურითმო ლექსი; 11. სამხრეთ ამერიკაში გავრცელებული ლამასებრთა ოჯახის ძვირფასბეწვიანი ცხოველი; 13. ქართული მოხარშული და გადაზელილი ყველი; 15. სქელი ქაღალდი; 16. ჭიდაობის ერთ-ერთი სახეობა; 18. ბანდიტის, ქურდის, ხულიგნის ძველი, საერთო სახელწოდება საფრანგეთში; 19. პირველი ავტომობილის შემქმნელი გერმანელი ინჟინერი.

**თარაზულად:** 6. გემით ტვირთის გადაზიდვის საფასური; 8. ავადმყოფური მიდრეკილება ჭარბი ჭამისადმი, გაუმაძღრობა; 9. ორაზროვანი, გადაკრული სიტყვა, ფრაზა; 10. ექიმის სპეციალობა; 12. ფულის ერთეული ირანში; 14. კუთხე საქართველოში; 17. ძველად სურსათსანოვაგის შეგროვება ეკლესია-მონასტრების სასარგებლოდ; 20. ხატვის, ფერწერის ერთ-ერთი ჟანრი; 21. მოხეტიალე ცირკი; 22. სახელმწიფო სკანდინავიაში; 23. მდინარე ვაშინგტონში.

**შეადგინა თ.გოგინაშვილმა**

